ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲗᲐᲡᲪᲝᲓᲕᲐᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲝ,
ᲗᲥᲕᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲥᲕᲗ!
ᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲚᲐᲤᲓᲐᲡᲮᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ !

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

www.sakresp.ge



ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲩᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲪᲐᲐ, ᲪᲣᲪᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲭᲝᲠᲪᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲒᲐᲪᲐᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲙᲐᲠᲘᲡᲮᲑᲐᲖᲔ ᲣᲡᲐᲛᲐᲒᲚᲝᲡᲘᲐ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. 2016 Წ. №115 (8007), �გᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 98-Ე ᲬᲔᲚᲘ | ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru ᲓᲐ sakresp@top.ge | ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲗᲗᲠᲘ.

ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲖᲔ „ᲖᲔᲬᲝᲚᲘᲡ“ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲜᲝᲜᲓᲐᲠᲚᲕᲔᲕᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ. ᲛᲐᲜ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ:

„ის, რაც სასამართლოს კედლებში მიმდინარეობს, არის სრული ფიქცია და „რუსთავი-2“-ის შტურმით აღების მცდელობა. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ადგენს, რომ გადაწყვეტილების ჩაბარება მხარის ვალდებულებაა და გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა ის თავად უნდა მივიდეს და ჩაიბაროს გადაწყვეტილება და ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ 30-ე დღეს მივიდოდით, ამის მიუხედავად დღეს სასამართლომ თვითონ გამოგვიგზავნა გადაწყვეტილება, რომელიც შედგება 71 გვერდისგან, რომელიც, როგორც აღმოჩნდა დაიწერა 12 დღეში.

ქალბატონო გუჯაბიძე, მოგიწევთ მანტიის გახდა, რადგან სრულიად შეუძლებელია 12 დღეში 71 გვერდი დაგეწერათ თქვენი კვალიფიკაციის პატრონებს. ეს გადაწყვეტილება ჩვენ არ ჩაგვიბარებია, იმიტომ რომ სასამართლო გადაწყვეტილების გაგზავნის ინსტიტუტს არ იცნობს, მხოლოდ 2 გამონაკლისია — სოციალურად დაუცველი და პატიმარი. რეალური შედეგი ამისა ის არის, რომ ჩვენ სასამართლოს

მცდელობით 18 დღე მოგვპარეს, ეს არის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მოპარული ვადაც, რომ მან ვერ მოასწროს გადაწყვეტილების დადგენა 54-ე მუხლზე, რომელიც ჩვენ გასაჩივრებული გვაქვს და რომელიც არის ერთადერთი, რასაც ეყრდნობა სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში,“ — აცხადებს ნიკა გვარამია.

გვარამია საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს, ასევე იუსტიციის საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებს დახმარებისთვის მიმართავს.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ:

ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ პოლიტიკური თავხედობა ყოველგვარ ზღვარს გასცდა. იგი ბოროტად იყენებს ნაციონალთაგან კანონიერი მფლობელისთვის წართმეულ სატელევიზიო არხს და თავის თავს მართლმსაჯულებაზე და კანონზე მაღლა აყენებს, შეცდომაში შეჰყავს სამართლებრივად გაუცნობიერებელი მაყურებელი, რომელიც ხელისუფლებისგან მეოთხე წელიწადია, ითხოვს სამართლიანობის აღდგენას.

სამართალს კი თავის დამნაშავე გუნდთან ერთად მთელი ათი წელიწადი არღვევდა ეს ჯოჯოხეთის მოციქული ვაჟბატონი გვარამიაც.

ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქისთვის ცხადია, რომ ტელეარხის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებას არცრა საერთო არა აქვს რა სარედაქციო პოლიტიკასთან.

სააკაშვილის არაკანონიერად დანიშნულო დირექტორო გვარამია, ხალხს ნუ ატყუებ, სააპელაციო სასამართლო კანონიერების ფარგლებში მოქმედებს!

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ,

6

ᲐᲜᲣ ᲐᲡᲔ ᲕᲔᲠᲪ ᲠᲣᲘᲡᲣᲠᲑᲜᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲕᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲗ!

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ; ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲪᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲗ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲓᲔᲗ; ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲑᲝᲫᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲝ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ? ᲠᲐ ᲒᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝ ᲑᲝᲠᲝᲢᲘᲗ?

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

5



ᲡᲘᲪᲮᲘᲗᲐ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ

ᲢᲔᲥᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲑᲔᲓᲐᲕᲔᲜ!

4

ᲛᲔᲡᲢᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

4

ᲕᲘᲜᲐᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲨᲐᲕ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ?



8

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲝᲑᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

10

ᲓᲘᲓᲘ ᲩᲔᲛᲞᲘ ᲝᲜᲘᲓᲐᲜ



გიორგი კვირიკაშვილი:

მივესალმები თქვენს სურვილს, კარიერა დაუკავშიროთ ადამიანების უსაფრთხოებას

გუშინ თბილისში გაიხსნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კარიერული განვითარების ფორუმი, რომელშიც 13 უნივერსიტეტის კურსდამთავრებული 200-მდე სტუდენტი მონაწილეობდა, რომლებსაც უწყებაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე დასაქმების საშუალება მიეცემათ.

მთავრობის მეთაურმა შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილს და მის გუნდს ფორუმის ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა და, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების პროცესში, ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„როდესაც ასეთ ახალგაზრდებს ვხედავ, ოპტიმიზმით ვივსები. დღეს ძალიან სასიამოვნო დღეა. ეს არის ერთგვარი ღია კარის დღე პოლიციისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის. ახალგაზრდების ჩართულობა რეფორმებისა და ცვლილებების პროცესში, არის უკიდურესად მნიშვნელოვანი. ჩვენი ქვეყნის მომავალის შექმნას მხოლოდ და მხოლოდ განათლებული ახალგაზრდები შეძლებენ. ამას ემსახურება ეს პროცესი, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით. თითოეული თქვენგანის მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სასიკეთო ცვლილებების პროცესში, არის უკიდურესად მნიშვნელოვანი. მინდა, გისურვოთ წარმატებები, მინდა, შსს-ს ვუსურვო ბევრი წარმატება, რადგან თქვენს წარმატებაზე არის დამოკიდებული თითოეული ადამიანის უსაფრთხოება ჩვენს ქვეყანაში, რაც არის უზენაესი მიზანი ჩვენთვის, ჩვენი მთავრობისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის“, — განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ მთავრობისა და მოქალაქეების ერთობლივი ძალისხმევის გარეშე, ეს მიზანი ვერ მიიღწევა.

„განათლება არის ყველაზე მნიშვნელოვანი და სტრატეგიული სფერო ჩვენი ქვეყნის მომავლის მშენებლობაში. საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი. სწორედ შსს-სა და პოლიციის აკადემიის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი არის ძალიან თამამი და ჩვენი მხრიდან ამ ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიას მაქსიმალური მხარდაჭერა ექნება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა, ფორუმში მონაწილე დეპარტამენტების კუთვნილი ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერა, ასევე მიიღო ინფორმაცია შსს-ს აკადემიაში სწავლების პროცესის - მათ შორის, სამგზავრო დოკუმენტების ამოცნობის შესახებ. პრემიერმა მოისმინა პრეზენტაცია დისტანციური სწავლების შესახებ და, ახალი პროგრამის მეშვეობით, რეგიონებში მყოფ კურსანტებს გაესაუბრა. იმიტირებული სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, რეალური და ვირტუალური ტირი და აკადემიის საცურაო აუზი, გიორგი კვირიკაშვილმა და გიორგი მღებრიშვილმა ერთად დაათვალიერეს. პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრისთვის, აკადემიის ტერიტორიაზე, შეიარაღებული პირის დაკავების იმიტირებული პროცესიც გაიმართა.

ვიზალიბერალიზაციამ სექტემბრამდე გადაინია

სახელმწიფოს მინისტრი დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ ევროპის პარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებების, მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა კომიტეტი საქართველოს ვიზალიბერალიზაციაზე საბოლოო კენჭისყრას ივლისის ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში გამართავს.

„რაც შეეხება პარლამენტის მიმართულებით, ჩვენ ძალიან ვაფასებთ იმ ძალისხმევას, რომელიც მომხსენებელმა გამოიჩინა და მხარი დაუჭირა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციას. ეს დოკუმენტი უკვე წარადგინა კომიტეტზე. 8 ივლისამდე არის პერიოდი, როდესაც შენიშვნები იქნება გათვალისწინებული. იმედი გვაქვს, ივლისის თვეშივე, ან სექტემბრის დასაწყისში უკვე კომიტეტი საბოლოო კენჭისყრას ჩაატარებს. ეს შეიძლება იყოს ივლისის თვეშივე, ეს შეიძლება იყოს სექტემბრის დასაწყისშიც. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ იმ მხარდაჭერის რეალიზაციას, რომელიც მივიღეთ პოლიტიკურ დონეზე, ძალიან მაღალი დონის ლიდერებისგან, მოვახდენთ უახლოეს თვეებში“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

„კაბელების საქმეზე“ მსჯავრდებულებს სასჯელი უნდა გაეზარდოთ

გავრცელებული ინფორმაციით ე.წ. კაბელების საქმეზე, პროკურატურა მსჯავრდებულებისთვის სასჯელის ზომის გაზრდას ითხოვს და ამ მოთხოვნით ბრალდების მხარემ უკვე მიმართა სააპელაციო სასამართლოს. ამ საკითხის კომენტირებისას თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების ადვოკატი ლევან სამუშია ამბობს, რომ პროკურატურას სურს დაფაროს კავშირი მოსამართლე ბუგიანიშვილთან და ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს მსჯავრდებულებზე.

„სასაცილო ფაქტია, მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გადახედვა სასჯელის ნაწილში და ითხოვს სასჯელის გამკაცრებას. ეს განპირობებულია 2 ფაქტორით — პროკურატურას სურს, დაფაროს მისი და მოსამართლე ბუგიანიშვილის ალიანსი და თითქოს ისინიც არიან რაღაცით უკმაყოფილო და მეორე არის, რომ სურთ ბრალდებულების ფსიქოლოგიური ზეწოლა. არც ერთი გამოუვათ და არც მეორე. ბრალდებულებზე ისინი ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერანაირად ვერ მოახდენენ. საზოგადოებამ და ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ ალიანსში არიან პროკურატურა და მოსამართლე ბუგიანიშვილი ერთმანეთთან და როგორი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი“ ,— განაცხადა სამუშიამ.

◎ დაიჯერეთ, დაიჯერეთ!

ეროსი კიწმარიშვილმა თავი მოიკლა!

საქართველოს მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ ეროსი კიწმარიშვილი მიზანმიმართულად თვითმკვლელობამდე არავის არ მიუყვანია და არავის არ მოუკლავს, მან თავი მოიკლა, რადგან კონკრეტული გარემოებების არსებობის მხედველობაში მიღებით შეუძლებელია მკვლელობა იყოს ჩადენილი რომელიმე სხვა პირის მიერ. შესაბამისად მიღებულია გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ, — ამის შესახებ მთავარ პროკურატურაში განცხადება გუშინ გაკეთდა.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიების მსვლელობის დროს დაიკითხა დაახლოებით 600 პირი. ოჯახის წევრების, ადვოკატების და ოჯახის მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა ათეულობით ექსპერტიზა. დამუშავდა და გაანალიზდა ვიდეოჩანაწერები, რის შედეგადაც დადგინდა ეროსი კიწმარიშვილის და მასთან კავშირში მყოფი პირების გადაადგილების მარშრუტები, ასევე დამუშავდა სატელეფონო ზარები. აღდგა და შესწავლილია ყველა ის ინფორმაცია, რომელიც შენახული იყო ეროსი კიწმარიშვილის ტელეფონსა და კომპიუტერში. გარდა ამისა, ჩატარდა არაერთი ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედება, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:

2014 წლის 14 ივლისს, ეროსი კიწმარიშვილი მეგობარ ბადრი ნანეტაშვილთან ერთად მივიდა ქალაქ თბილისში პეკინის გამზირზე მდებარე იარაღის მაღაზია „დიანაში“. ნანეტაშვილს სურდა შეეძინა ცეცხლსასროლი იარაღი. მაღაზიაში ყოფნის დროს კიწმარიშვილმაც გამოთქვა იარაღის შეძენის სურვილი და შეარჩია ცეცხლსასროლი იარაღი. მომდევნო დღეს მან დაირეგისტრირა ჩზ-75 სისტემის პისტოლეტი და დაბრუნდა ჭავჭავაძის გამზირზე №37-ში მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში, სადაც იმყოფებოდა მეუღლესთან ია კიწმარიშვილთან ერთად. მეუღლის სახლიდან წასვლის შემდგომ, 15:05 საათზე, ეროსი კიწმარიშვილი გამოვიდა სახლიდან. 16 საათსა და 47 წუთზე კი, მისი გვამი მეგობრებმა და თანამოაზრეებმა — გიორგი ხევიაშვილმა, თამაზ ბაწელაშვილმა, ვალერი ტატუაშვილმა, მერაბ დოლიძემ და ზაზა ბატიაშვილმა მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის მჭიდრო მიბჯენით გასროლის შედეგად. ეროსი კიწმარიშვილის სხეულზე არსებული ტრავმის ლოკალიზაციის და მოცულობის გათვალისწინებით სიკვდილი დადგა თავის არეში ცეცხლნასროლი ჭრილობის მიყენებიდან მომენტალურად. გარდაცვლილის ფეხებთან ეგდო პისტოლეტი, რომელიც რამდენიმე საათით ადრე შეიძინა ეროსი კიწმარიშვილმა. ამ იარაღიდან გასროლილი მასრა აღმოჩნდა სალონის უკანა მხარეს, ტყვია კი გაჭედილი იყო მარცხენა საყრდენში. მარცხენა საყრდენიდან ამოღებული ტყვია, ჩატარებული ბალისტიკური და გენეტიკური ექსპერტიზების დასკვნებით, გასროლილია ეროსი კიწმარიშვილის იარაღიდან და გავლილი აქვს გარდაცვლილის სხეული. ავტომანქანის სავარძლები და სალონის დეტალები მარცხნიდან მარჯვნივ გაშლის კლებადობით დაფარული იყო გარდაცვლილის სისხლის შხეფებით, რასაც ადასტურებს სასამართლო-სამედიცინო, გენეტიკური, ბიოლოგიური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებიც. ეროსი კიწმარიშვილის სხეულზე არსებული ტრავმის ლოკალიზაციის და მოცულობის გათვალისწინებით სიკვდილი დადგა თავის არეში ცეცხლნასროლი ჭრილობის მიყენებიდან მომენტალურად. გარდაცვლილის ფეხებთან ეგდო პისტოლეტი, რომელიც რამდენიმე საათით ადრე შეიძინა ეროსი კიწმარიშვილმა. ამ იარაღიდან გასროლილი მასრა აღმოჩნდა სალონის უკანა მხარეს, ტყვია კი გაჭედილი იყო მარცხენა საყრდენში. მარცხენა საყრდენიდან ამოღებული ტყვია, ჩატარებული ბალისტიკური და გენეტიკური ექსპერტიზების დასკვნებით, გასროლილია ეროსი კიწმარიშვილის იარაღიდან და გავლილი აქვს გარდაცვლილის სხეული. ავტომანქანის სავარძლები და სალონის დეტალები მარცხნიდან მარჯვნივ გაშლის კლებადობით დაფარული იყო გარდაცვლილის სისხლის შხეფებით, რასაც ადასტურებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს მარჯვენა საფეთქლის მხრიდან შემავალ და თავის ქალის მარცხენა უკანა მხრიდან გამომავალ ცეცხლნასროლ დაზიანებას. ეროსი კიწმარიშვილს, მარჯვენა საფეთქელზე აღენიშნებოდა ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ანაბეჭდი ე.წ. „შტანცმარკა“ და დამწვრობის კვალი, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ვითარდება იარაღზე ჩატარებული ბალისტიკური და გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნებიც.

გამოძიების მსვლელობისას ასევე გაიშიფრა ყველა ვიდეოკამერა, რომელსაც დაფიქსირებული ჰქონდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. მათ შორის ავტოფარეხის შესასვლელის მიმართულებით განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელთა მიხედვით გარდაცვალების დღეს 17:00 საათამდე დროის შუალედში ავტოფარეხში შევიდა 10 ავტომანქანა და ორი ფეხით მოსიარულე პირი. ყველა მათგანი დადგენილია და დაკითხულია გამოძიების პროცესში. ესენი არიან: კიწმარიშვილის მეზობლები და მათი მომსახურე პერსონალი, რომლებსაც მის გარდაცვალებასთან რაიმე კავშირი არა აქვთ.

გამოძიების მიმდინარეობისას, ზურაბ კიწმარიშვილის და მის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით, ეროსი კიწმარიშვილის ავტომობილში ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი პირების გარდა, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ექსპერტებმაც.

ავტომანქანის სალონში აღმოჩენილი სისხლის შხეფების განლაგების, სროლის ტრაექტორიის, ე.კიწმარიშვილის სხეულზე და ტანისამოსზე აღმოჩენილი დენთის კვალის, ცეცხლსასროლ იარაღზე აღმოჩენილი დნმ-ის კვალის და ა/მანქანაში მხოლოდ გარდაცვლილის ტანისამოსის მოკრონაწილაკების აღმოჩენის მხედველობაში მიღებით გამოირიცხა სროლის დროს ავტომობილში ან მისგან ისეთ დისტანციაზე სხვა პირის ყოფნა, საიდანაც შესაძლებელი იყო სროლის განხორციელება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამოძიების პროცესში დაიკითხა კიწმარიშვილის ოჯახის ყველა წევრი: მეუღლე, ძმა და შვილები. მათი დაკითხვით რაიმე საეჭვო გარემოება გარდაცვალების სხვა შესაძლო ვერსიასთან დაკავშირებით, არ გამოვლენილა.

გამოძიების მსვლელობის დროს შესწავლილი იქნა ეროსი კიწმარიშვილის ფინანსური მდგომარეობა გარდაცვალების დროს და დოკუმენტურად დადგინდა, რომ მის ოჯახს კერძო პირებთან, ორგანიზაციებსა და ბანკებთან საერთო ჯამში ჰქონდა დავალიანება 312 000 აშშ დოლარის და 120 000 ლარის ოდენობით, რომლის უზრუნველყოფისთვის იპოთეკით დატვირთული იყო მისი საცხოვრებელი სახლი, ხოლო ეროსი კიწმარიშვილს არ გააჩნდა საკმარისი შემოსავალი ამ დავალიანების დასაფარად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კიწმარიშვილის კომპიუტერში აღმოჩენილი საუბრის ჩანაწერი ადასტურებს ფინანსური პრობლემების არსებობას, ჩანაწერში ის აცხადებს, რომ მას აქვს მატერიალური პრობლემები, რის გამოც მიმდინარე პრობლემებსაც ვეღარ უმკლავდება.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი, თანამიმდევრული და ლოგიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეროსი კიწმარიშვილი მიზანმიმართულად თვითმკვლელობამდე არავის არ მიუყვანია და არავის არ მოუკლავს. მან თავი მოიკლა, რადგან კონკრეტული გარემოებების არსებობის მხედველობაში მიღებით შეუძლებელია მკვლელობა იყოს ჩადენილი რომელიმე სხვა პირის მიერ. შესაბამისად მიღებულია გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

„ყველაფერი ამოწურულია. თანავუგრძნობ მის ოჯახს“

„პროკურატურამ გადაწყვიტა, რომ ეს არის თვითმკვლელობა. კიდევ ერთხელ მწუხარებას გამოვთქვამ და თანადგომას ვუცხადებ მის ოჯახს. მეტი არაფერი მექნება სათქმელი, რაც საჭირო იყო, უკვე გაცხადებული მაქვს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, რომელიც მთავარი პროკურატურის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხებოდა, რომლის მიხედვითაც კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება შეწყდა და მან თავი მოიკლა.

ივანიშვილმა „ტაბულას“ ჟურნალისტს მიმართა, თუ როგორ ახერხებდა ის ყველა კითხვაში ინტრიგის შემოტანას?! — „რაც სათქმელი მქონდა, უკვე გითხარით, ყველაფერი ამოწურულია. თანავუგრძნობ მის ოჯახს“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. კითხვაზე, ჰქონდა თუ არა კავშირი ეროსი კიწმარიშვილს მის ფინანსებთან, ივანიშვილმა უპასუხა, რომ არა — „რა კავშირი უნდა ჰქონოდა ეროსი კიწმარიშვილს ჩემს ფინანსებთან?“ — მიმართა ივანიშვილმა ჟურნალისტს.

SIC: ბანდიტები „თავშესაფარს“ ეძებენ!

გერმანული პრესა „კანონიერი ქურდის“ ჯაბა იოსელიანის ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდს გვიხსენებს!!!

გერმანულ გაზეთ „Frankfurter Allgemeine Zeitung“-ში ავტორთა კოლექტივის (რეინჰარდ ვეზერი, მარკუს ვენერი, მატიას ვუზუკა) მიერ გამოქვეყნებული ვრცელი გამოკვლევა გერმანიაში ქართველი კრიმინალების დანაშაულებრივ საქმიანობას ასახავს.

პუბლიკაციაში დეტალურადაა გადმოცემული იმ მრავალი ძარცვისა და ქურდობის დამადასტურებელი ფაქტები, რომლებიც ქართველმა იმიგრანტებმა გერმანიის სხვადასხვა მხარეში ჩაიდინეს, მაგალითად, რურში და ბავარიაში, სადაც ქართული ბანდის წევრებს აფთიაქების გაქურდვის გეგმა ჰქონდათ შემუშავებული. მათი ლიდერი ლევან კ. 2014 წლის ნოემბერში დააკავეს ქალაქ ბამბერგში, ძარცვის ადგილზე „იგი გაქცევას შეეცადა და ყინულიან მდინარეში გადახტა, მაგრამ უშედეგოდ“.

სტატიაში ვრცლადაა საუბარი გერმანიის ფედერალური პოლიციის მიერ შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემებზე. მაგალითად, 2014 წელს რეგისტრირებულია 3697 ქართული წარმოშობის დამნაშავე, 2015 წელს კი 4985, ანუ დანაშაულის რაოდენობამ 35%-ით მოიმატა. მხოლოდ მაღაზიების ძარცვით, მათ გერმანელებს 2014 წელს 370 მილიონი ევროს ზარალი მიაყენეს, 2015 წელს კი ზარალმა უკვე 500 მილიონს მიაღწია.

„ქართველები დანაშაულებრივი საქმიანობისათვის აქტიურად იყენებენ თავშესაფრის მიღების გერმანულ სისტემას. ამ ფონზე საქართველოდან იმიგრანტთა რაოდენობამ ბოლო წლებში კატასტროფულად („შვიდმილიანი ნაბიჯებით“) იმატა. თუ 2011 წელს თავშესაფრის მიღებას მხოლოდ 527 ქართველი ცდილობდა, 2012-ში მათი რაოდენობა 2486-მდე გაიზარდა, გასულ წელს კი 3196-ს მიაღწია. მიმდინარე წლის იანვრიდან მაისამდე კი თავშესაფრის მიღების 1141 კანდიდატი დაფიქსირდა.

რასაკვირველია, მათ მიღების არანაირი შანსი არ აქვთ, მაგრამ ბოროტად სარგებლობენ მდგომარეობით: საქმე ის არის, რომ თავშესაფრის მიღების პროცესი საშუალოდ ცხრა თვემდე გრძელდება, არის 12-თვიანი შემთხვევებიც. ცხადია, თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმის შემდეგ მათ სამშობლოში აბრუნებენ ხოლმე. ამ მხრივ რეკორდი დამყარდა გასულ 2015 წელს, როცა 292 ადამიანი დააბრუნეს. ლოდინის პერიოდს ბევრი დანაშაულის ჩასადენად იყენებს.

ბავარიის პოლიციის მონაცემებით, ქართველი კრიმინალები გერმანიაში ე.წ. „კანონიერი ქურდების“ დავალებით არიან შეგზავნილი (პუბლიკაციაში მოცემულია „კანონიერი ქურდების“ წარმოშობის ისტორია საბჭოთა კავშირში, მათი ცხოვრების წესი, ტრადიციები და ა.შ. მასში აღნიშნულია, რომ ასეთი ქურდები განსაკუთრებით ბევრი იყო საქართველოში. პარადოქსული კურიოზია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქვეყანას „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა. ბევრი ქართველი „კანონიერი ქურდი“ დაიღუპა რუსეთში, 1990-იანი წლების შუახანებში).

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ „კანონიერ ქურდებს“ (ანუ ორგანიზებულ დამნაშავეობას) ბრძოლა გამოუცხადა, 2003 წლიდან 2010 წლამდე ამგვარ პატიმართა რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზარდა. საპყრობილეები ისე მოეწყო, რომ მასში გამომწყვდეულ კრიმინალურ ავტორიტეტებს სხვებზე გავლენის მოხდენა აღარ შეეძლოთ. 2005 წლის მარტში ულმობლად იქნა ჩახშობილი კრიმინალების ბუნტიც. ცნობილი ქურდების კუთვნილი სახლები და ქონება ზოგი გაიყიდა, ზოგი კი პოლიციის შენობად გადაკეთდა, ყველაზე გავლენიანი „კანონიერი ქურდები“ კი ევროპაში გაიქცნენ (საფრანგეთში, საბერძნეთში, ესპანეთში).

გამოკვლევაში საუბარია ქართველ „კანონიერ ქურდებზე“, მაგალითად, კახაბერ შ.-ზე, რომელიც გერმანიაში მოქმედ ქურდებში „ობშიაკს“ აგროვებდა.

როგორც ვრცელ პუბლიკაციაშია აღნიშნული, ქართველი კრიმინალების მოქმედება საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესების ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. ავტორები იმოწმებენ გერმანიის ფედერალური პოლიციის წარმომადგენლების, ბუნდესტაგის დეპუტატთა განცხადებებს. ზოგიერთი გერმანელი პოლიტიკოსი (ჩამოთვლილია ვინაობა) გახარებულია, რომ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზების საკითხის განხილვა გადაიდო. მასალაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს კრიმინალებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას — გერმანიაში ვიზიტით იყო შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი...

პუბლიკაციის დასასრულ ავტორების მიერ გადმოცემულია გერმანიის რურის მხარეში მომხდარი ინციდენტი: ქალაქ ბოხუმის სასამართლომ თითქმის ერთწლიანი განხილვის შემდეგ ქართული ბანდის ექვს წევრს თავისუფლების აღკვეთა სამიდან ექვს წლამდე მიუსაჯა. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ზომები დაცული იყო, ბანდის მეთაურმა კახაბერიძემ (მას 7,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს), სანამ საპყრობილეში გადაიყვანდნენ, სასამართლოდან გაქცევა სცადა...

ჯანო ქურდაძე

◎ სიტყვა ერის გასაგონად!

მოვიცილოთ მიშა ცოცხიანად!

არიქა, გვიშველეთ. თუ გადაგვარჩენს, ისევ მიშა, თავისი ცოცხით, თავის ჟანდარმებთან — მერაბიშვილებთან, ახალაიებთან, ადეიშვილებთან ერთად. დროზე, სანამ ერთმანეთი არ დაგვიჭამია.

არადა ვითარება კატასტროფამდეა მისული. აი, უბრალო, მარტივი სურათი: იმ დღეს ეზოში მეზობლები ვსხედვართ, ვსაუბრობთ, ჰოდა, სადარბაზოდან ჩქარი ნაბიჯით გამოქანდა ნაციონალების მსახური ქალბატონი, ორი შვილის დედა, დიასახლისი.

— ახალი ამბავი გაიგეთ? — გამოცრა კბილებში.

ყველანი შევაჩერდით.

— ტიტას ხე წაქცეულა და ივანიშვილი ქვეშ მოუყოლებიაო, — ეგრევე დაახეთქა და გატრიალდა.

გვიან აღვიდგინე მისი დაბერილი, სისხლმოძალებული თვალები, ბოღმისგან შესიებული სახე, დაძაგრული გამოხედვა და შემეცოდა.

ახლა მამაკაც მეზობელთან დიალოგი:

ივანიშვილის ასე და ისეო. არადა, სულ სხვა რამეზე ვსაუბრობდით. კაცები ნარდს თამაშობდნენ.

— რას ერჩი იმ კაცს, მან ხომ გადაგვარჩინა, ქვეყანა იხსნა უბედურებისგან, — ვიცი აზრი არ აქვს მასთან დავას, მაგრამ ვერ ვითმენ, — მან ხომ სამება, სხვა ეკლესიები აგვიშენა, გაგვიახლა ასობით ტაძარი?

— ჩვენ სამება არ გვჭირდება, — სიტყვას პირიდან მტაცებს.

— 20 მილიონი მოახმარა ოპერისა და ბალეტის თეატრის აღორძინებას და ახლა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი მსოფლიოში მეორეა.

— არ გვჭირდება ჩვენ ოპერა, — ეგრევე მაწყვეტინებს სიტყვას.

კარგი, ჯანდაბას, ესენი ხომ უწიგნურები, გაუნათლებელნი, ფსიქიკურად მოშლილები არიან. მაგრამ ახლობელმა ჟურნალისტმა ქალბატონმა, თანაც დამსახურებულმა, აღიარებულმა და მწერლობაშიც ხელწაკრულმა ზუსტად იგივე რომ გამიმეორა, ლამის ჭკუიდან შევიშალე. თურმე ეს ქალბატონიც იმ წყეული „რუსთავი-2“-ის მაყურებელი ყოფილა.

ჰოდა, რა გაემტყუნება ვაშაძეს, ვითომ ნაცების ჯურღმულიდან თავდახსნილს, იქ ჩარჩენილ თანამოსაგრეთ ივანიშვილის ფულით მოქრთამულებად რომ მიიჩნევს, ისინი კი თვით ვაშაძეს სწამებენ, ბიძინას კაციაო. ეგ კიდევ არაფერი.

ნაციონალების ახალი ბელადი დავითა, სააკანთ ხელის ბიჭი, ახლა ახალი ძალით იწყებს ბრძოლას ბიძინას ხელისუფლების დასამხობად. არადა, როგორ მენანება ნაღდი, კაცური კაცი — მინისტრი დავით ბაქრაძე, რომლის წყალობითაც მაღალი რეიტინგით გაგვეჩითა დათიკუნა. ეჭვი არ მეპარება, იმ უცხოელ, მაგრამ ჩვენი ნაციონალების მწყალობელ მონიტორინგელთა გამოკითხვისას ორ დავით ბაქრაძეში უთუოდ ეს კარგი დავითი იგულისხმეს, თორემ რუსული ტანკების წინააღმდეგ დანა-ჩანგლებით მებრძოლ ნაცბელადს თუნდაც, ერთ ხმას ვინ მიაშავებდა?!

ლამის არის, ცოცხლად შეჭამონ ჭეშმარიტი მამულიშვილი დავით ნარმანია. არადა, ამ არაკაცებს, ერის მოძულეთ, ფულს დახარბებულთ რომ შეეძლოთ ამ მამულიშვილურ, საშვილიშვილო საქმეთა გამკეთებელს დაიჭერდნენ. საკუთარი ხელით დააწერინებდნენ არსაკიძისეულ შეგონებას „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“. დიახ. ასე იქნებოდა, რომ შეძლებოდათ და მერე თავსაც წააჭრიდნენ.

სულ სხვა თემაა საპარლამენტო ოპოზიცია, გათითოკაცებული პარტიები, ევრო-დოლარებით ნასუქი არასამთავრობოები... სიკვდილ შემჯდარ კრაზანებივით აღგზნებულნი იკბინებიან, იცოფებიან. გიურზა ხომ საშინელზე საშინელი გველია, მაგრამ თუ არ შეეხები, ისე ჩაგისრიალებს, ზედაც არ შემოგხედავს. ესენი კი ზედ შეგაცოცდებიან, დაგგესლავენ.

არადა, დღეს უკვე ველარ გაიგებ ვინ ნაცია ვინ ქოცია. მეოცნებეების ერთმა ნაწილმა სათადარიგო აეროდრომი იპოვა და ყველანი ერთად სიცოცხლეს გვაძულებენ, თავბედს გვაწყევლინებენ.

ჩემს თაობელებს ერთი შადიმან ბარათაშვილი გვყავდა საწყევარი. თუ ვინმე ავკაცს, ქვეყნის მოღალატეს, გამყიდველს დავიგულებდით, შადიმანს ვეძახდით. რა თქმა უნდა, მაშინაც იყვნენ ბოროტები, ავები, უზნეონი, მაგრამ დღეს რომ უბედურება გვჭირს?!.

ამ ამღვრეულ, სატანის ქაოსის მოსურნე მედროვეთა მოძალების ჟამს ჩვენისთანა პატარა, მცირერიცხოვან ერს „შვილი დასაკარგავი“, მართლაც რომ აღარ უნდა გვყავდეს, მაგრამ ამათ ბოღმა დააბრჩობს. არადა, რას გახდები კანდელაკთან, მინაშვილთან, მაჭავარიანთან, ჩიორასთან...

რაო, არ მითხრათ ახლა ძმები ბერძენიშვილები ანგელოზები არიანო, ალასანია და მისი გუნდი ხომ... აი, კუკავანათელაშვილის დუეტი ნამდვილი საშინელებაა.

იმ დღეს იტალიიდან ჩემმა ქალიშვილმა (ის იქ „ტყვეობაშია“), დამირეკა, ლევან ვასაძეს თუ უყურეო, ღმერთი მამულიშვილებს არ გამოულევს საქართველოსო, ვასაძე მართლაც რომ ერის კაციაო.

და მაინც ამ დემოკრატიის ნიღბით მომრავლებულმა მოძალადეებმა შეიძლება ქვეყანა თავზე დაგვამხონ, რაღაც საშინელებას გვიმზადებენ...

არადა, იყო დრო, როდესაც ერთმანეთი გვიყვარდა, თუნდაც იმ კურთხეული 9 მაისის დღეებში, თუნდაც 1956 წლის მარტში, სტალინის ძეგლთან ასი ათასობით ადამიანი რომ ვიდექით ტყვიის წვიმაში, 9 აპრილის განსაცდელის ჟამსაც.

ქართველებს შეგვიძლია სიყვარული. იქნებ არჩევნების შემდეგ მაინც დადგეს მიტევების ჟამი: მიშას ცოცხთან ერთად დავამარცხოთ სიძულვილი, რომელიც ნაციონალებმა შემოგვიგდეს.

დროა მომავალ თაობებს, ჩვენს უნიჭიერეს ახალგაზრდობას, ავარიდოთ სიძულვილის საფრთხე. ვიფიქროთ საქართველოს გადარჩენაზე.

გივი ჯახუა

„მერაბიშვილს ახალ ბრალს წაუყენებენ“

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და შს ყოფილ მინისტრს ვანო მერაბიშვილს უახლოეს მომავალში ახალ ბრალს წაუყენებენ.

„მერაბიშვილის ამბავმა ბევრი პოლიტიკოსის ნამდვილი სახე გამოაჩინა. ასეთი ლუსტრირება საქართველოში ჯერ არ მომხდარა. ცუდი ისაა, რომ ასეთი ადამიანებით არის სავსე პოლიტიკა, თორემ იმაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მერაბიშვილი ციხიდან კარგა ხანს ვერ გამოვა. ექსკლუზიურად გეუბნებით, ძალიან მალე მას გენერალ გია კრიალაშვილის მკვლელობის საქმეზე წაუყენებენ ბრალს. ამ საქმეზე მას ფაქტობრივად აღიარებაც აქვს მიცემული. ყველამ ვნახეთ ის ფირი, სადაც ვანო გაიძახის, 2 გვამი მინდაო... ვესაუბრე მის დას ლია კრიალაშვილს . როგორც ლიამ მითხრა, ამ საქმეზე პროკურატურა ინტენსიურად მუშაობს. საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტებიც ჩაერთვნენ. მათ შორის არის მაია ნიკოლეიშვილიც“, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუს დროს მჟავანაძემ.

ტექდათვალიერების შემოღებას ვერ ბედავენ!

დარეგისტრირებულია მილიონზე მეტი მანქანა, მათი 20 პროცენტი ამორტიზებულია

1 ივლისიდან პარიზის ქუჩებში 1997 ოქტომბრამდე გამოშვებული ავტომობილების გადაადგილება აიკრძალება. შეზღუდვა ასევე შეეხება 1999 წლამდე გამოშვებულ მოტოციკლებს. ქალაქის მერის ენ იდალგოს განცხადებით, ასეთი მიდგომა ქალაქის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილია. პარიზის გეგმაშია, 2020 წლისთვის ქალაქში მხოლოდ 2011 წლის შემდეგ გამოშვებულმა, ბენზინზე მომუშავე ავტომანქანებმა და ელექტრომობილებმა იარონ. ცვლილებების გამო, პარიზის მძღოლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, თუმცა, მეორე მხრივ, პარიზს ევროკავშირის წინაშე აქვს ვალდებულებები აღებული, რომ დაბინძურების ზღვრებს არ გადააჭარბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სანქციები დაუწესდება.

ვალდებულება ტექდათვალიერების შემოღების შესახებ ევროკავშირის წინაშე საქართველოსაც აქვს, მაგრამ მის განხორციელებას ხელისუფლება არ ჩქარობს. ტექდათვალიერების შემოღება უკვე სამჯერ გადაიდო, როგორც წინა ასევე ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი მიზეზად იმას ასახელებს, რომ არც ერთ ხელისუფლებას არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა არ სურს, რადგან ამომრჩევლების გაღიზიანებას უფრთხის.

NDI-ის კვლევების მიხედვით კი საზოგადოებას სრულიად საპირისპირო დაკვეთა აქვს და მოსახლეობის უმეტესობა სავალდებულო ტექდათვალიერების შემოღებას ემხრობა. გასული წლის აგვისტოს-სექტემბრის კვლევით, **გამოკითხულთა 68% მიიჩნევს, რომ ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების შემოღება აუცილებელია. 25% თვლის, რომ ტექდათვალიერების შემოღება აუცილებელი არ არის, 6%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.**

ამ საკითხში კომპრომისის დაშვებას მიუღებლად მიიჩნევს „თიბისი ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე. როგორც ბიზნესმენმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, როგორი რეაქცია ექნება ცვლილებებზე მოსახლეობას, მთავრობამ რადიკალური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

„მთავრობამ უნდა თქვას, რომ არ შეიძლება, ჩვენს შვილებს დაბინძურებული ჰაერი ვასუნთქოთ და ძველი მანქანების მეპატრონეებისგან თუ სხვებისგან როგორი რეაქციაც არ უნდა იყოს, მთავრობამ რადიკალური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს“, — განაცხადა ხაზარაძემ.

მოძველებული ავტოპარკის შედეგებს ქვეყანა უკვე იმკის: ერთი მხრივ, ჰაერი დაბინძურების საგანგაშო მაჩვენებლებს აჩვენებს, მეორე მხრივ კი, ტექნიკური გაუმართაობის გამო გზებზე უამრავი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერების მაღალი კონცენტრაცია ფიქსირდება თბილისის იმ უბნებში, რომლებიც დასასვენებელ ადგილებად მიიჩნევა და უამრავი მცირეწლოვანი ბავშვი იყრის თავს.

მედიკოსების განმარტებით, ჰაერში აზოტის დიოქსიდის არათუ ასეთი მაღალი, საშუალო შემცველობაც კი ჯანმრთელობისთვის შესაძლოა, ძალიან საშიში აღმოჩნდეს და ამას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც ამტკიცებს.

დადასტურებული ფაქტია, რომ ასეთი კრიტიკული ნიშნულის მთავარი გამომწვევი მიზეზი ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილებია.

ამის პარალელურად წლიდან წლამდე იზრდება ავტოსაგზაო შემთხვევათა რაოდენობაც, რომელთა ნაწილიც სწორედ ავტომობილების ტექნიკური გაუმართაობის გამო ხდება.

ამ საგანგაშო ფაქტებმა ვერც ერთი ხელისუფლება ვერ აიძულა სავალდებულო ავტოტექდათვალიერება აემოქმედებინა. ბოლოს ავტოტექდათვალიერების შემოღების გადადების გადაწყვეტილება 2015 წელს მიიღეს. საქართველოს მთავრობამ პარლამენტს ცვლილების გადადების ინიციატივით 2015 წლის თებერვალში მიმართა. შედეგად, ტექდათვალიერება 2017 წლის 31 დეკემბრიდან უნდა ამოქმედდეს. ევროდირექტივებით კი სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების ამოქმედების ვადა საქართველოს 2019 წლამდე აქვს.

„ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე დავით მესხიშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანა დღეს ამ ვალდებულების შესასრულებლად მზად არ არის.

როგორც მესხიშვილი აცხადებს, ცენტრები, რომლებმაც ავტომობილებს ტექდათვალიერება უნდა გაატაროს, არასაკმარისია და რაც არსებობს, ისინი ტექნიკურად გამართულები თავადვე არ არიან.

„20-მდეა ამ ცენტრების რაოდენობა და მათგან მხოლოდ 4 აკმაყოფილებს რაღაც დონის სტანდარტებს. დღეს ეს ცენტრები ტექდათვალიერებას უტარებენ სამგზავრო, საქალაქთაშორისო ავტობუსებს და სამარშრუტო ტაქსებს. თუ ამას გავითვალისწინებთ, მივხვდებით, როგორც ატარებენ ტესტირებას ეს ცენტრები“, — აცხადებს დავით მესხიშვილი.

მისივე თქმით, ყველანაირი შემოწმების ერთად ამოქმედება ცენტრების სიმცირის გამო პრობლემებს შექმნის.

აკრედიტაციის ცენტრში, სადაც ტექდათვალიერების ცენტრები აკრედიტაციას გადიან, აცხადებენ, რომ დღეისთვის საქართველოს მასშტაბით 24 ცენტრი მოქმედებს, რომლებსაც წლიურად 400 ათასი მანქანის შემოწმება ძალუძთ. ცენტრის ხელმძღვანელის პაატა გოგილიძის თქმით, **დარეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა მილიონზე მეტია, მაგრამ მათი დიდი ნაწილი, დაახლოებით 20%-მდე, ამორტიზებულია, შესაბამისად არ მოძრაობს.**

„რეალურად გასატესტი მანქანების რაოდენობა 2-ჯერ მეტი გამოდის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ 2-ჯერ მეტი ხაზია საჭირო შესამოწმებლად. რადგანაც ყველა კატეგორიის მანქანას არ ესაჭიროება პირველივე წელს ტექდათვალირება. კატეგორიების მიხედვით ინსპექტირების პერიოდულობა განსხვავდება, ასევე ასაკზეც არის ეს დამოკიდებული, მაგალითად 3-წლამდე მანქანებს არ ესაჭიროებათ ტექდათვალიერება“, — აცხადებს პაატა გოგილიძე.

მისივე თქმით, მეორე მხრივ, იმისთვის, რომ ქვეყანაში შემმოწმებელი ცენტრების რაოდენობამ მოიმატოს, ხელისუფლება გარკვეული მასტიმულირებელი ნაბიჯების გადადგმას აპირებს.

სალომე მეცხვარიშვილი

◎ „კომერსანტის“ რეპორტაჟი

მესტიელები ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვენ

ზაფხულის დადგომასთან ერთად საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ კუთხეში — სვანეთში ტურისტული სეზონი დაიწყო. ტურისტების ნაკადები, ადგილობრივების თქმით, სვანეთს სექტემბრის ბოლომდე აწყდება.

„კომერსანტი“ სვანეთის მდგომარეობით დაინტერესდა და გადაწყვიტა, თავად ასულიყო და გაცნობოდა ადგილობრივ გარემოს. თბილისიდან სვანეთამდე ჩასვლა საჰაერო და საავტომობილო გზით არის შესაძლებელი. დროის განაწილება და ფასები ინფოგრაფიკზეა აღნიშნული.

ფრენის შესაძლებლობა დიდი კომფორტია, თუმცა თუკი საავტომობილო გზას აირჩევთ, გზაზე არანაირი დაბრკოლება არ შეგხვდებათ: ზუგდიდიდან მესტიამდე ბეტონის გზაა დაგებული და ამ ეტაპზე გზად მხოლოდ რამდენიმე უსწორმასწორობა შეგხვდებათ. გასულ წლებში ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ მესტიაში საკმაოდ დიდი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა ბოლო ხანებში მთავრობის მხრიდან უყურადღებობაზე ადგილობრივების საკმაოდ დიდი ნაწილი საუბრობს.

სვანეთში მოსახლეობას ელექტროენერგია უფასოდ მიეწოდება.

„ამ შეღავათით ძალიან დიდი ხანია, ვსარგებლობთ, თუმცა რეგიონში ბუნებრივი აირი შეყვანილი არ არის. ზამთარში ელექტროგამათბობელი სიცივეს ვერ ერევა, ამიტომაც ზამთარში მარტო სასტუმროები მუშაობენ. მზის ენერგიაზე იყო ადრე საუბარი, ახლა მას აღარავინ ახსენებს,“ — აღნიშნა მან.

უფასო ელექტროენერგიით კერძო კომპანიები და სასტუმროები ვერ სარგებლობენ. ერთ-ერთი სასტუმროს მენეჯერის, ქნი ნინოს თქმით, „გადასახადები საკმაოდ მაღალია. ბიზნესს მეტი შეღავათი სჭირდება. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, მაგრამ თუკი მთავრობა უფრო მეტად განავითარებს ამ მხარეს და ბიზნესს მეტ შეღავათს მისცემს, ეს ქვეყნის ეკონომიკაზეც დადებითად იმოქმედებს.“

ქალაქის ცენტრში არაერთი საკვები ობიექტია გახსნილი. აქვე დგას ავტომობილები, რომლებიც მსურველებს სხვადასხვა მიმართულებით ტურებს სთავაზობენ. რაც შეეხება მაღაზიებს, საკვებ პროდუქტებზე ფასები საკმაოდ მაღალია. მესტიის მკვიდრის, ბ-ნი ზურას თქმით, მაღალი ფასი როგორც უცხოელ ტურისტს, ასევე მასაც ეხება.

მესტიიდან 8 კილომეტრში ჰაწვალი მდებარეობს, საიდანაც საბაგიროს დაახლოებით 15 წუთში 2340 მეტრზე, ზურულდის მთაზე აყავხართ. უკრაინელი ანატოლი თავის მეუღლესთან ერთად არის სვანეთში ამოსული: **„ავტოსტოპით ვმგზავრობთ, შესანიშნავი ადგილია. ჩვენთვის შენობებზე მნიშვნელოვანი ბუნების პირველყოფილობაა, თუმცა ისეთი ინფრასტრუქტურა, როგორიც თუნდაც ეს საბაგირო, ამ მხარეს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.“**

ზურულდის მთაზე, სვანეთის ყველაზე მაღალ წერტილში, რესტორანი მდებარეობს, რომლის ვერანდიდან სვანეთის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი, უშბა (4700მ) იდეალური რაკურსით ჩანს. მთაზე ზამთარში მოთხილამურეები ამოდიან. საბაგიროს ერთ-ერთი თანამშრომლის, ნუგზარის თქმით, „თეთნულდზეც უნდა გაიხსნას საბაგირო, თუმცა უკვე ძალიან დიდი ხანია, მიმდინარეობს მშენებლობა. როგორც ამბობენ, თეთნულდზე ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი სათხილამურო ტრასა უნდა იყოს და იმედია, სამუშაო მალე დასრულდება.“

ხელისუფლების უყურადღებობის ფონზე სვანები რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობის გაფუჭების შედეგად იღებენ მოგებას.

„ბევრად მეტი ტურისტი ამოდის, შედარება არაა. რუს ტურისტებს ჩემს საოჯახო სასტუმროში შემდეგ თვეში ველოდები,“ — ამბობს ბ-ნი ნუგზარი.

რა მიზნები აქვთ სვანეთში ახალგაზრდებს?

17 წლის თამარმა სკოლა წელს დაამთავრა და ეროვნული გამოცდებისათვის ემზადება. „ტურიზმზე ვაბარებ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მერე ისევ აქ მინდა დაბრუნება. ჩემი კლასელების უმეტესობა ან ტურიზმზე აბარებს, ან სამართალზე. მხოლოდ ერთი ჩაიჭრა საატესტატო გამოცდაზე.“

მესტიისა და ზოგადად, სვანეთის მზაობა, გახდეს საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული ცენტრი, თვალშისაცემია. როგორ მიუდგება მთავრობა მოსახლეობის უკმაყოფილებას და გადაიდგმება თუ არა პრობლემების გამოსასწორებლად ნაბიჯები — ამ საკითხებს კომერსანტი მომავალში კვლავ დაუბრუნდება.

გუგა როგავა

„გაიცანი საქართველო“

პროექტ „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ რიგით მე-12 პრესტური გამართა. სხვადასხვა მედიასაშუალებების 30 წარმომადგენელი გურიას ეწვია. 2 დღის განმავლობაში ჟურნალისტები და ფოტოგრაფები გურიის ტურისტულ პოტენციალს გაეცნენ. მედიის წარმომადგენლებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი, შალვა რადიანის სახლ-მუზეუმი, ლიხაურის ციხე, შემოქმედის მონასტერი დაათვალიერეს, დაათვალიერეს „Natura Tea Company“-ის ჩაის ფაბრიკა. საზღვაო კურორტ ურეკის დათვალიერების შემდეგ პრესტურის მონაწილეები სამთოკურორტ გომის მთაზე გაემგზავრნენ, რომელიც სანაპირო ზოლიდან 60 კილომეტრში ზღვის დონიდან კი 2100-2700 მეტრზე მდებარეობს (პირდაპირი მანძილი ზღვიდან 32კმ), კურორტი გარშემორტყმულია უნიკალური წიწვოვანი ტყით და წყაროებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჟურნალისტები ნოდარ დუმბაძის მუზეუმს და უდაბნოს მონასტერს ეწვივნენ. მოინახულეს კურორტი ბახმარო.



სიცოცხლე მეხსიერებაში გრძელდება

სიტყვა მერაბ მამარდაშვილზე

მერაბ მამარდაშვილის არსებობის დრო არ არის განსაზღვრული მკაცრი საზღვრით წარსულსა და აწმყოს შორის. დრო აქ უსასრულო არსებობად, უწყვეტ დინებად განიცდება. მერაბთან მიმართებაში დრო კარგავს თავის კონკრეტულ განზომილებას და გვევლინება არსებობის აბსოლუტურ დროდ. რჩეულთა შორის მხოლოდ ერთეულნი თუ ქმნიან მას. ამიტომ მერაბის მიმართ არ არსებობს სიტყვა „იყო“, რომელიც ყველაზე სასტიკი სიტყვაა სიტყვათა შორის.

მერაბის არსებობა ეს იყო განხორციელებული მოთხოვნილება შინაგანი თავისუფლებისა, განსაზღვრული ჭეშმარიტებისა და სიკეთის ღირებულებებით, რომელთაც იგი ქმნიდა და რომელთაც თვლიდა ადამიანის ყოფიერების საზრისად. მთელი მისი ცხოვრება იყო ტოლფასი აზროვნებისა და გამართლება დეკარტეს დებულებისა – Cogito ergo sum (ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ), ე. ი. აზროვნების გზით, მხოლოდ აზროვნებით, აზროვნებაში არსებობა, ანუ როგორც მერაბი იტყოდა „ვაზროვნებ – ვარსებობ... სიცხადე არსებობისა შედეგია აზროვნებისა, ე. ი. ისეთი არსებობა, რომელიც გაშუალებულია აზროვნების აქტებით“. მერაბთან აზროვნება სიცოცხლის არსი, მისი საზრისი გახლდათ.

Cogito-ს პრინციპი მერაბთან წარმოადგენს არა მარტო თავისუფალი აზრის, არამედ პასუხისმგებლობის, მორალის პრინციპს, რამდენადაც იგი გულისხმობს პასუხისმგებლობას ადამიანის მიერ შექმნილი სამყაროსათვის, რომელშიც იგი ცხოვრობს, მოქმედებს, უპირველეს ყოვლისა, როგორც მოქალაქე, სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი. ამდენად, მერაბთან „მე ვაზროვნებ“ გვევლინება როგორც საწყისი კულტურისა, ცივილიზაციისა საერთოდ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ ძლიერ აზროვნებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული თავისუფლების პრობლემა, როცა ჩვენს წინაშე დგას არჩევანი, არჩევანი ორიენტაციისა, მოქმედებისა: თავის მხრივ, ძლიერი აზროვნება დამუხტულია თავისუფლების შინაარსით და ამდენად, „მე ვაზროვნებ“ ნიშნავს იმას, რომ მე თავისუფალი ვარ. მხოლოდ თავისუფალ ადამიანს, რომელიც ხელმძღვანელობს მაღალეთიკური პრინციპებით და Cogito-თი, შესწევს ძალა გადაწყვეტილების პროცესში სწორი პოზიციების არჩევისა. პიროვნების თავისუფლება არის სწორედ კულტურის მიზანი. როგორც კულტურა, ასევე პიროვნება, თავისი შინაგანი იმანენტური კავშირებით, ქმნიან ღირებულებათა სივრცეს.

მერაბი სავსებით სწორად თვლიდა, რომ ქრისტიანული რელიგია ყოველთვის იყო როგორც სიტყვა – ხმა ღმერთისა, მიმართული პიროვნულ საწყისზე, ადამიანთა თავისუფლებაზე.

მეტად საინტერესოა მერაბის აზრი იმის შესახებ, რომ „იესო ქრისტე შეიძლება ათასჯერ დაბადებულიყო, მაგრამ თუ ის ერთ დღეს შენში არ მოგევლინა, შენ დაიღუპებოდი“.

იხილავდა რა მერაბი ბელადის საკითხს, წერდა: „ბელადის მოლოდინი, მისი ძიება, ესაა მონობა; მოისურვე ბელადი? ფრთხილად!..“ (გაზეთი „მამული“, 1991, 22-23 დეკემბერი).

მერაბი დანანებით აღნიშნავდა, რომ „ქართველი ერი სამწუხაროდ განუდგა ილიას გზას, დაუშვა შეცდომები... დავანგრიეთ საკუთარი ეკლესიები 1921 წლიდან, თვითონვე დავუშავეთ საკუთარ თავს, დავკარგეთ ქართული თვისება“. მერაბი თვლიდა, რომ „ილია უდიდესი მოაზროვნე იყო არა მარტო ქართული, არამედ ევროპული მასშტაბით. მას ესმოდა, რომ ქართული ქრისტიანობა, როგორც პირველქმნილი, პირველი წყაროებიდან წამოსული სახარებისეული ქრისტიანობა, სწორედ ის მოძღვრება იყო, რომელშიც მძლავრად აჟღერდა თავისუფლების მოტივი. ეს მოტივი იყო დანერგილი ქართველი ერის წიაღში, პირველადი და უშუალო ქრისტიანობის წყალობით; ამას ეფუძნებოდა ქართველთა მიდრეკილება და ლტოლვა ევროპულობისაკენ, რომელიც ასე კარგად ესმოდა ილიას“ (გაზეთი „7 დღე“, 1990, 6 დეკემბერი).

მერაბისთვის განსჯის ობიექტს წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფერო, იქნებოდა ეს პოლიტიკა, ფილოსოფია, მეცნიერება თუ ლიტერატურა. იგი უბრალო ფაქტსაც მაღალი აზროვნების სააზროდ ხდიდა.

მერაბი თვლიდა, რომ დემოკრატია ნიშნავს შრომის თავისუფლებას, რომ თავისუფალი შრომა არის სწორედ სამოქალაქო საზოგადოება, კერძო საკუთრება არა განსხვისებადია, იგი სამოქალაქო ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს.

მერაბის აზრით, „ნაციონალური მოძრაობა არის სამოქალაქო საზოგადოების დაბადების ფორმა, რომლითაც წყდება სამოქალაქო თავისუფლების პრობლემები“ („დრონი“, 1991, 20 დეკემბერი).

იხილავდა რა ნაციონალური უმცირესობის საკითხს, აღნიშნავდა, „ნაციონალური უმცირესობანი წარმოადგენენ ჩვენი ქართული ბედის შემადგენელ ელემენტს... იცავ რა აფხაზის, სომხის, ოსის ღირსებას – ამით შენს საკუთარ ღირსებასაც იცავ, ამის გარეშე ჩემთვის არ არსებობს ქართველის მაღალი ცნება“.

ახასიათებდა რა რუსეთის პოლიტიკას, აღნიშნავდა, რომ რუსეთის პოლიტიკა მისი ისტორიის მანძილზე იყო და არის პოლიტიკა ბატონობისა. „რუსეთის ისტორიაში არის ხანგრძლივმოქმედი ძალა, დამღუპველი... რომლის წინაშეც შეიძლება დამნაშავე აღმოჩნდე... ეს ხელმწიფე იმპერატორია“.

მერაბი ადასტურებდა ბერძენ ფილოსოფოსთა და ჰეგელის აზრს იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტება არის უმაღლესი ღირებულება, არის საზომი, რომლითაც უნდა შეფასდეს ეროვნულობა.

მერაბი ასევე იზიარებდა ჩაადაევის აზრს ჭეშმარიტების, როგორც უმაღლესი ღირებულების შესახებ: „მშვენიერი რამ არის სამშობლოს სიყვარული, მაგრამ არის უფრო მშვენიერი რამაც – ეს ჭეშმარიტების სიყვარულია, მამულის სიყვარული შიშს გმართებს, ჭეშმარიტების სიყვარული ქმნის ბრძენკაცებს, კაცობრიობის კეთილისმყოფელებს. ჭეშმარიტების სიყვარული ავრცელებს ცოდნის შუქს, ქმნის სულიერ ტკბობას, ადამიანებს აახლებს ღმერთთან“.

მერაბს ბრალს სდებდნენ, მოღალატედ აცხადებდნენ, თავისი მენტალიტეტით ქართველი არ არისო. ეს სრულიად დანაშაულებრივი ბრალდება იყო. მერაბი, სამწუხაროდ, გახდა მსხვერპლი გაუნათლებლობისა, პროვინციული აზროვნებისა. მერაბი მთელი თავისი ბუნებით, თავისი აზროვნებით, გრძნობებით იყო ნამდვილი პატრიოტი. ნორმან კაზექსის კითხვაზე, თუ როგორ გადაურჩა იგი ბრალდებების ღვარცოფს, მერაბმა უპასუხა: „გადავრჩი იმიტომ, რომ ქართველი ვარ“.

საჭიროდ ვთვლი, მოვიყვანო 1990 წლის ზვიად ქორიძის ინტერვიუს ჩანაწერი მერაბთან: „როდესაც ჩვენ ვმღერით და ვისმენთ ქართულ სიმღერას, ჩვენში ხელახლა იბადება ქართველი, როცა ქართულ ტრადიციულ, ხალხურ თუ რიტუალურ სიმღერას ვისმენ, მე მასში ვარ, და ის სიმღერა თვითონ აყალიბებს ჩემს სულს, როგორც ქართულ სულს. ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული მუსიკის ტრადიციულ სტრუქტურას, ეს არის ჩემი, როგორც ქართველის შინაგანი სამყაროს, სულის გარე გამოვლენა და განფენა. ეს არის გრძნობადი ხატი ჩემი სულისა“.

ასევე საინტერესოა მერაბის აზრი ქართული სუფრის შესახებ: „ჩვენში სუფრა არის ერთობის რიტუალი, არსებობის, სიხარულის წყარო... ქართული სუფრა ეს არის არსებობის ლეგენდა“ (წიგნი „ჩახშული ფიქრები“, გვ. 16-17).

მერაბი ხედავდა ადამიანური ყოფიერების ურთულეს შრეებს, ჩვეულებრივი აზროვნებისათვის არცთუ ისე ადვილად მისაწვდომს და გასაგებს. მისი ყოველი აზრი სრულიად სხვა განზომილების სფეროდან იყო დანახული და შექმნილი. აზრის სპონტანური დაბადების, რაფინირებული გემოვნების საფუძველზე ქმნიდა აზროვნების მეტად თავისებურ კონსტრუქციას, იბადებოდა ჩვენს წინაშე სრულიად ახალი ცნებები გაგების მრავალსახეობით, ორიგინალური გააზრებით. ამის ნათელი მაგალითი იყო მისი ლექციები, ჩვეულებრივი დიალოგები. დიალოგი მისთვის იყო როგორც ჭეშმარიტების ძიების მცდელობა, ასევე აუცილებელი საშუალება მოპაექრეთა თვითგახსნისა, თავისუფალი აზროვნების გამოვლენისა. აზრთა ჭიდილი გაიძულებდათ, აქტიური მონაწილეობა მიგეღოთ დიალოგის რთულ და ამასთანავე, მომხიბვლელ პროცესში. თვით ძალა აზროვნებისა ხდიდა ამ პროცესს ემოციურს. ემოციურის განცდა იბადებოდა აზროვნებიდან, იბადებოდა სრულიად ახალი – აზროვნების ესთეტიკა.

მერაბი ეძიებდა თავის ადგილს, თავის დანიშნულებას მკაცრ, დაუნდობელ ყოფიერებაში, ეძიებდა ძალადობით დაკარგულ დროს (ამიტომ შემთხვევითი არ იყო მისი ინტერესი პრუსტისადმი).

მთავარი სათქმელი მერაბის მიმართ გახლავთ ის, რასაც თავის დროზე პლატონი თვლიდა ადამიანის ძირითად განზომილებად – განუყოფელობა, ერთ მთლიანობად არსებობა მაღალი ეთიკური პრინციპებისა და ძლიერი აზროვნებისა.

მე ახლაც ვგრძნობ მერაბის არსებობას. თითქოს დღესაც ვესაუბრები, ვეკითხები. მისი ყოველი სიტყვა, გამოხედვა, ღიმილიც კი იყო თავის შეცნობის, სულის, აზროვნების, თავისუფლების თვალნათლივობა.

ეს არ არის მერაბის უბრალო გახსენება, ეს არის მასთან საუბრის მონატრება.

მას 85 წელი შეუსრულდა.

როგორ, როგორ ვერ გავუფრთხილდით მას!

ლონდა მდივანი

მეაბრეშუმეობა განვითარებას იწყებს

საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგს თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მეაბრეშუმეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა თუთის აბრეშუმმხვევიის ჯიშების გენოფონდის შენარჩუნება-გაუმჯობესებასა და სარეალიზაციო ბაზრების მოძიებას ითვალისწინებს. აღნიშნული მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

დაწყებულია მეაბრეშუმეობისათვის საკვები ბაზის აღდგენა-შექმნა, რომელიც გულისხმობს თუთის ჰიბრიდული ჯიშის ნერგების გაშენება-დარიგებას. მეაბრეშუმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქართველმა ბიზნესმენმა უზბეკეთიდან ჩამოტანილი თუთის ასი ათასი ნერგი სახელმწიფოს გადასცა, რომელიც ბენეფიციარებს უსასყიდლოდ დაურიგდათ. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები პროგრამის ბენეფიციარებს თუთის ბაღების გაშენებაში დაეხმარნენ და თუთის მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებაში უწევენ კონსულტაციებს. ამჟამად, აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე მიმდინარეობს თუთის აბრეშუმმხვევიას დაახლოებით 45000-50000 ცალი აბრეშუმის ჭიის გამოკვების პროცესი. აღნიშნული ჯიშები ხასიათდებიან მაღალი აბრეშუმიანობითა და ძაფის სიგრძით. ამ ეტაპზე უნივერსიტეტის ბაზაზე აბრეშუმმხვევიას მიერ პარკის ახვევა სრულდება.

ანბანის კოშკი გაიხსნა

კოშკურის სფეროს ყველაზე მაღალ დონეში ტურისტული საინფორმაციო ცენტრი განთავსდა. აუდიო გიდის მეშვეობით ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ყველაზე მაღალი წერტილიდან საქართველოს ტურისტულ პოტენციალს და ქართულ კულტურას ონლაინ რეჟიმში გაეცნონ.

ესპანური კომპანია მომავალი თვიდან მბრუნავი რესტორნის გახსნასაც გეგმავს. წლის ბოლოს კი საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზის გახსნაც იგეგმება. ანბანის კოშკთან ღია ტერასაც ფუნქციონირებს. ობიექტის მშენებლობისთვის 2011 წელს 64 მილიონი ლარი დაიხარჯა და ამ დრომდე იყო უფუნქციოდ. შარშან კოშკი ესპანურ კომპანია boost spain-ს სიმბოლურ საიჯარო ფასად, 1 ლარად გადაეცა და ვალდებულებებიც აიღო.

ასოცდაათმეტრიანი კოშკიდან გადმოხედვა ფასიანია.



ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘ,

ᲐᲜᲣ ᲐᲡᲔ ᲕᲔᲠᲪ ᲠᲣᲘᲡ-ᲣᲠᲑᲜᲘᲡᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲕᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲗ!

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ **„საუცხოო“ უცხოურიდან გამომდინარეობს და ნიშნავს –უცხოსთვის მისართმევს, უცხოსთან თავმოსაწონებელს, ანუ ყოველივე საუკეთესო – უცხოს!**

სტუმარი ღვთისაა და გასაგებია, რომ მასაც საუკეთესო პატივს სცემდნენ, მაგრამ - საუკეთესო უნდა ეკუთვნოდეს ღმერთს!

ერთი სიტყვით, უცხოურისადმი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პლებეური, არაჯანსაღი პატივისცემა ჩამოგვიყალიბდა: საკუთარის დამდაბლებას და უცხოურით გატაცებას დაემატა უცხოსადმი თავმოწონების გულისთვის სასიკვდილოდ თავის გაწირვაც, სხვათა ომებში(არ დავასახელებ...) თავდავიწყება... თუმცა – მედასავლეთეობამ ყველას და ყველაფერს გადააჭარბა... განსხვავებით მერუსეთეობისაგან (რომელმაც თავისი იდეური სენი მოჭამა... იგულისხმება არა აგენტურა, არამედ ვისაც ალალად უნდა გონივრული, მშვიდობიანი თანაცხოვრება და რუსეთი სჭირდებათ, როგორც საქართველოს დამცავი ისლამიზაციისგან), მედასავლეთეობა იქცა სულიერ-მსოფლმხედველობრივ ორიენტირად, სნობურ მიმდინარეობად და პანაცეად, რომელიც ითვლება ყველაფრის წამალ-საშველად და რომელმაც გადაფარა თვით ღმერთის სასოებაც კი, როგორც ერთობ სეკულარისტულ-ჰედონისტურმა ორიენტაციამ...

ეშმაკი ადამიანს ვერ მოატყუებს, რომ არ სარგებლობდეს და სპეკულირებდეს ღმერთის სიკეთის მარგალიტებით, რომლის ფონზე ახორციელებს თავის შავბნელ ზრახვებს, რის გამოც ეწოდა – „სიცრუის მამა“...

ასევეა, დასავლური ღირებულებები – შირმად გამოყენებული და მით გადაფარული ის ბოროტება, რომელიც მთელი მსოფლიოს შთანთქმას ცდილობს...

ანუ, ეს ღირებულებები სატყუარაა, საკენკია, მისაზიდია – დიიიდ ხაფანგში ჩასაგდებად, გამოხრული ცხვარია, რომლის ტყავშიც მგელია გახვეული, თვალწარმტაცი ია-ვარდებია – ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზაზე... შხამიანი თაფლია და ერთმანეთისგან ვერაფრით ვერ განაცალკევებ – აი, ესაა დასავლეთი და კიდევ უფრო ზუსტად, ასე გავშიფრავდი: ქრისტიანულ სახელწოდებას ამოფარებული ნეოწარმართობა – რომელიც, აგრეთვე – „რჩეული ერის“ სახელწოდებას ამოფარებული, გაწარმართებული კლან-კასტის ხელშია. ამ უკანასკნელმა დასავლეთის გამოყენებით აიღო რევანში ქრისტიანობაზე... დაამხო რა, ქრისტიანული სახელმწიფოებრიობა, ათეოკრატია-დემონკრატია-ანტიქრისტეკრატიის სამეტაპოვანი მსოფლიო მოწყობით, პარალელურად, მალთუსიანურად იწირავს „ზედმეტ“ მოსახლეობას და დანარჩენ „გოი“ – კაცობრიობაზე გაბატონებული – მიწიერ „სამოთხეს“ იწყობს დედამიწაზე...

ვითომ ხელს უშლის რუსეთი „დასავლურ პროგრეს-დემოკრატია-ღირებულებების“ მიმართულებას საქართველოში?

არა, ვინაიდან ეს – მიმართულება არის „ახალი მსოფლიო წესრიგი“ – რასაც თავადვე ემსახურება(სხვას რომ თავი დავანებოთ – ეკუმენიზაციით და სხეულში ჩიპიზაციის განხორციელების ვალდებულებით – 2024 წლამდე)...

უბრალოდ, თავის გეოპოლიტიკურ სივრცეში, მას თავისი მერკანტილური ინტერესები აქვს და მას ამაში ხელს არ უშლის დასავლეთი, იმიტომ, რომ თვითონაც ასე იქცევა ყველგან და ასევე, პირიქითაც უწყობს ხელს რუსეთიც.

რუსეთი და ამერიკა პარტნიორები არიან, რაც არაერთჯერ გაცხადებულა, მაგრამ „ცივი ომით“ და მსგავსი თვალდასაფსები ჟონგლიორობით მალავენ...

სხვათა შორის, ეს სირიაშიც გამოჩნდა, სერბეთშიც, როცა „ნატო“ იუგოსლავიას ბომბავდა აღდგომის „მისალოცი“ რაკეტებით, საქართველოშიც ერთად დაამხეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც – როგორც მსოფმთავრობის „მდინარების წინააღმდეგ სვლა“.

დიახ, მსოფმოწყობას სჭირდება რუსეთთან მიგვაკავშიროს, მაგრამ ჯერ ბოლომდე უნდა დაგვაპროგრამონ დემოკრატია-ლიბერალიზაციაში და მერე, არც გვკითხავენ, ისე გაგვაერთიანებენ, როგორც იგივე გაგვიკეთეს – ჰომოსოვეტიკუზაციაში, რის მერეც გაგვიღეს „რკინის ფარდა“ და „თავისუფლების სარკმელი“.

რაზეა ლაპარაკი, გვიყვარდეს ადამიანი და ნუ გვიყვარან მათი ცოდვები, მაგრამ – ჩვენთვისვეა საჭირო რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, რამეთუ – „მამული, ენა და სარწმუნოებიდან“ ტერიტორია, ანუ მამული გვაქვს აღსადგენი...

რუსეთის წართმეულს ამერიკა ვერ დაგვიბრუნებს, რაც არაერთხელ განგვიცხადა დასავლეთმა. არ მიყვარს მე მათი ცოდვები და თუნდ გადაკვდომიან ერთმანეთს; თვისტომთა ნეოორჯონიკიძეობის ცოდვისგან ხსნა და გამოფხიზლება მალაპარაკებს, თორემ ისინი უჩვენოდაც აღასრულებენ უსჯულოების საიდუმლოს გეგმებს!

არაფერია დაფარული ჩემში, ყველაფერი განცხადებული მაქვს ჩემს წერილებში! დასავლეთთან, რუსეთთან (კომკავშირის სიძულვილიდან, პიონერის ყელსახვევსაც კი ვებრძოდი, ანუ 65-70-იანი წლებიდან),სუკთან, შსს-თან (1978 -ის რუსიფიკაციის საწინააღმდეგო ენის დაცვის პერიოდში ბევრს შეაბეს ეჟვანი), ფულთან, კარიერასთან, ცრუ-სთან თუ მოსადთან - არაფერი მაკავშირებს, გარდა კრიტიკისა;

საქართველო მიყვარს ჩემი მშობლიური გარემოდან, ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკორული ექსპედიციებიდან (ზეპირსიტყვიერების ჩაწერა ხალხში), და კონსტანტინე გამსახურდიასგან, მეათე კლასში აღებული ინტერვიუდან, სადაც „კოლხური კოშკი“ გამიღო ზვიად გამსახურდიამ და მას მერე, არაერთჯერ მოგვივლია სამშობლოს მთა და ბარის ზოგიერთი ნაწილი.

რასაც წარმოვადგენ, იმდენადვე ვზრუნავ, სამშობლოსა და ეკლესიაზე, თუმცა, თავმოსაწონი იმდენად არაფერი მაქვს, გარდა იმისა, რომ მაქვს ტრადიციული ოჯახი, მყავს პოეტი, მწერალი, ღირსეული მეუღლე, შვიდი შვილი და შვილიშვილები.

...და, თქვენ, ვიეთნი თუ მავანნი, ვინ ხართ და რის უფლებას აძლევთ თავს?!

რას დაამსგავსეთ – ეროვნული, მით უფრო სარწმუნოებრივი საკითხები, მასზე მსჯელობა-დამოკიდებულება და ურთიერთობები?! –

„ნინიას ბაღში“ გგონიათ თავი, ბირჟის კაცები ხართ, თუ „ბაზრის დედაკაცები“?!

თქვენი უკულტურობით, ვულგარულობით, ფამილარობით, გოი-სნობურ-ფსიქოპათოლოგიური არშემდგარობით, საკუთარი თავის ვერ შეცნობით და საკრალური ფენომენებისადმი შეუფერებელი კადნიერი გატოლებით, როგორ გააუბრალოეთ, დაამახინჯეთ და დაამდაბლეთ ეს ყოველივე!!!...

სასაცილოები გავხდით სხვა ერების თვალში და ეშმაკიც დაგვცინის და გვამასხარავებს; „ხუთი მართალიც“ კი არ დატოვეთ, ისე გასვარეთ და დაამდაბლეთ (დაიმსგავსეთ), რადგან, როგორც წმინდა ნიკოლოზი (სერბი) ბრძანებს – **„ძნელი არაა, ასწავლო ცხოველს, ძნელი არაა, ასწავლო უბრალო ადამიანს, მაგრამ რა ძნელია, ასწავლო უვიცს, რომელიც უკვე – მასწავლებელი გახდა“...**

ღირს კი, თქვენთვის თავგანწირვა, ან ღმერთი დაიცავს ასეთთა სამშობლოს?!...

...და, საკრალურის მოღალატის იარლიყებიც - ვინ ჩაგაბარათ წაღმა-უკუღმა საფრიალოდ?! ეგეც არ გესმით, რომ – სიკვდილს ეთამაშებით უდანაშაულოს დადანაშაულებით: „აგენტი“, „რენეგატი“, „ანტისახელმწიფოებრივი“, „ანტიეროვნული“... უმანკოთა განკითხვა, ცილისწამება, გაშაყირება შეგრჩებათ, გგონიათ „ნაქურდალი ხახვივით“?

არავის შეგრჩებათ ადამიანში – წმინდათაწმინდის შეურაცხყოფა, რამეთუ, სტიგმატიზებული, დაჩმორებულ-გაორებული და ისტიბარწამხდარი – ვერც სამშობლოს დაიცავს და ვერც ეკლესიას. გონს მოდით, ერთმანეთს ნუ წაახდენთ ქართველები!

თქვენისთანებს რად უნდა სხეულში ჩიპით მართვა, ისედაც ზომბირებულები ხართ და მტრის წისქვილზე ასხამთ წყალს, იმიტომ, რომ – აგენტურული სოციუმი გაგხადათ მსოფმთავრობამ და ისიც ვერ გაგირკვევიათ, ვინაა მტერი და ვინ – მოყვარე.

თითქმის სამოქალაქო ომამდეა მისული საქმე – სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ორი მხარე ერთმანეთს და რადგან „მრისხანებამან გულისამან სიმართლე ღმრთისა არა ჰყვის“-ბოროტისკენ წარიმართა ქართველთა საჭე!

ეს რა უბედურებაა, კაშპიროვსკიმ და ჩუმაკმა დაგაგიპნოზათ, თუ ცეერუს მაგებმა: „ზვიადისტები“ და „ედიკისტებიო“, ილია მეორის მადიდებლები და მაქარაშვილისტებიო, იეღოველები და მართლმადიდებლებიო, ლგბტ-ეები და ტრადიციულებიო, მედასავლეთეები და მერუსეთეებიო, ქალი ჯობია კაცსაო, თუ რომელი ერთი არ გვექცა საბრძოლველ-საასპარეზოდ...

და, რადგან უარყოფით შედეგამდე მივედით, ვასკვნი - ერთი და იგივე ჭირია, ჰიპნოზია, ზომბირებაა მედასავლეთეობაც და მერუსეთეობაც, რამეთუ გაერთიანებისა და თავისთავადობის საშველს არ აძლევს საქართველოს; გასაქანს არ აძლევს და ამ სტაგნაციით ღუპავს ერს, დარჩენილებს კი – გაუღებენ საზღვრებს და დაიცლება საქართველო;

არის თუ არა ეს რუსეთ-დასავლეთის გარიგება?! და, ვინ შოულობს ამით ფულს? – მხოლოდ პროფესიონალი მედასავლეთე-მერუსეთეები.

ასე რომ, ისინიც ნეოსერგოორჯონიკიძეები არიან და თქვენც – უნებლიეთ! ისინი შტატის აგენტურაა, თქვენ კი უშტატო, აგენტურული სოციუმი, რადგან, რასაც ჩაგძახებენ, იმას ახმოვანებთ. რას ემსახურება და საით მიდის ეს? ეს ემსახურება, უწინარესად, საქართველოს განხეთქილებას, მერუსეთე და მედასავლეთე ბანაკებად ჩამოყალიბებას და კოჰაბიტაციური მოქალაქეობის წესების დანერგვას, ვინაიდან და რადგანაც ასეა დე ფაქტო: აქაა რუსეთიც და აქაა ევროატლანტიკაც; აქაა რუსეთი, როგორც გეპოლიტიკური ბატონ-პატრონი და აქვეა დასავლეთიც – როგორც მსოფლიო იდეოლოგია-მენტალობის დამკანონებელი.

ხოლო, მეორე მხრივ, რას ემსახურება და საითკენ მიდის ეს? – ეროვნულობის შეგნების ტრანსფორმაციამდე და სამშობლოს ცნების დაკარგვამდე – როგორი ფსევდოდამოუკიდებლობაც გვაქვს, ისეთივე ფსევდოეროვნულობაა ეს მედასავლეთეობაც, რამდენადაც ამზადებს კოსმოპოლიტ, მსოფლიო მოქალაქეს.

თქვენი მედასავლეთეობა-მერუსეთეობა ინსპირირებულია რუსეთ-დასავლეთის საერთო პოლიტიკიდან. თქვენ-(არა აგენტ – მერუსეთე და მედასავლეთეებს), კარგი კი გინდათ, მაგრამ ცუდი გამოდის (ამას ემსახურებიან სამსახურებრივი აგენტ-მერუსეთეები და აგენტ-მედასავლეთეები და ძალაუნებურად მათ უწყობთ ხელს) – უძრაობამ და ადგილზე ბუქნამ, უმუშევრობამ და უპატრონობამ, მიწასთან გაასწორა ერი. უკვე, ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ ამოისუნთქოს.

და ეს ხომ ის ცნობილი ხერხია, რასაც მასონები არც მალავენ: „ერთი გაწბილებიდან მეორე გაწბილებამდე, არაქათს გავაცლით ყველაზე ჯიუტ ერებს, მანამ, სანამ, ჩვენს ჭკუაზე არ მოექცევიანო“...

როგორც თქვენ გგონიათ, რომ დასავლეთი უშველის საქართველოს, ასევე ჰგონიათ მერუსეთეებს და მეგონა მეც, რომ ორი უკიდურესობიდან, შედარებით უკეთესი უკიდურესობა იქნებოდა, თუკი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას მოყვებოდა, ეკონომიკის გაუმჯობესება, სასოფლო პროდუქციის ევრაზიურ ბაზარზე გატანა, მოსახლეობის დამკვიდრება საქართველოში... მაგრამ, მივხვდი, რომ – არ უნდა რუსეთს ზედმეტი ხარჯი, იმიტომ, რომ ისედაც მისია საქართველო;

ასევეა დასავლეთიც – იმიტომ კი არ დაეპატრონა საქართველოს, რომ ტვირთად აიკიდოს, არჩინოს და გადაარჩინოს. ორთავეს აწყობს საქართველოს სტაგნაცია, ანუ, მღვრიე წყალში თევზაობა, რადგან, ამასობაში (25-30 წელი – ორი თაობაა) – ძვალსა და რბილში გაუჯენენ საქართველოს მოქალაქეებს ცნობიერებით ამერიკანიზაციას (ისე, როგორც საბჭოეთის „სკოლაში“ წითელ-კომუნისტური და შავ- ქურდული იდეოლოგია – ზომბირება ჩაუტარეს) და მერე გაუღებენ რუსეთის კარს.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდება ჩვენს თავს, რას გვტენიან, როგორ ლახავენ ჩვენს უფლებებს, საცდელ და ცირკის ცხოველებივით გვათამაშებენ და თქვენ კი დახოცეთ ერთმანეთი მედასავლეთეობა-მერუსეთეობისთვის...

დიახ, ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ არა იმისთვის, რომ – რუსეთთან ერთად დასავლეთიც გაგვბატონებოდა და საერთოდ, დაგვკარგვოდა ადამიანური თავისთავადობა და ეროვნული ინდივიდუალობა!

რაც ახლა ჩანს, ის არ ჩანდა მაშინ... მაშინდელები ვცდილობდით, გაგვერღვია „რკინის ფარდა“ და „თავისუფალი სამყაროს“ თავისუფალი თანაბარუფლებიანობა მოგვეპოვებინა. აღმოჩნდა, რომ ეს ბლეფია, რომ საბჭოთა მიკროსაკონცენტრაციო ბანაკი გაგვიღო და ჩაანაცვლა სრულიად მსოფლიო საკონცენტრაციო ბანაკმა, რომლის ნაშიერი იყო ჩვენს „გამოსაყვანად“ შექმნილი საბჭოთა ბანაკი, რათა – მსოფმთავრობისგან დამხობილი ქრისტიანული სახელმწიფოებრიობა, ქრისტიანული მოქალაქეობა და სულიერება გადაევიწყებინა და გადაერთო ათეიზმზე (75 წელი, ანუ 3-4 თაობა) და მის შედეგად კი – ე. წ. დემოკრატიულ-ლიბერალურ მენტალობაზე.

სამწუხაროდ, რაც არ ჩანდა მაშინ და ოდენ ზოგიერთებისთვის გამოჩნდა, უმრავლესობისთვის დღესაც არ ჩანს და იმდენად გადასავლეთდნენ და გადემოკრატდნენ, რომ საწინააღმდეგო აზრის მქონეს „ანტისახელმწიფოებრივად“ რაცხავენ და დასაჭერად იმეტებენ, ანუ ბოლშევიკურ-მასონურ-სადისტური სულისკვეთებით გამოირჩევიან;

ასეთებს შეგისწორებთ: ანტისახელმწიფოებრივია – რევოლუცია და არა საკუთარი, თავისუფალი შეხედულება; ასევე, იმასაც უნდა დაზუსტება, ვისთვის რომელი სახელმწიფოებრიობაა „მშობლიური“ – ქრისტიანული თუ მისი დამამხობელი ათეისტურ-დემოკრატულ-ლიბერტარიანული?..

ჩემთვის – ღმრთივკურთხეული მონარქიული, ქრისტიანული სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანული წესრიგის დამხობაა – ანტისახელმწიფოებრივი.

ალბათ, თქვენთვისაც, მაგრამ, თქვენ ხომ ამ „დასავლურობასთან“ შერჩევითი დამოკიდებულება გაკავშირებთ და იმედოვნებთ, რომ მხოლოდ „დასავლურ ღირებულებებს“ გიწილადებენ, ხოლო,სანაცვლოდ, რომ – გავალდებულებენ „ადამიანთა უფლებების“, ტოლერანტობის, სოლიდარობის საფარველქვეშ გახვეულ ანტიქრისტიანობას, ამაზე თვალს ხუჭავთ და ამართლებთ – ეს გლობალური პრობლემაარ; ესე იგი, დასავლური ორიენტაციისანი ხართ, რაღაც ღირებულებების გამორჩევის ხარჯზე და გამოისობით, და, რა განგასხვავებთ მერუსეთეებისგან, რომლებიც, თქვენსავით, გამოირჩევენ, ელემენტარული საყოფაცხოვრებო და სამშვიდობო ღირებულების გულისთვის, კავშირურთიერთობის აღდგენას რუსეთთან...

ანუ, ისინიც, არასწორად გგონიათ – „ანტისახელმწიფოებრივნი“ და არც რუსეთთან კეთილმეზობლობა შეგიფერხებთ „დასავლური ღირებულებების“ დაწაფებას, რამეთუ „დასავლური“, ანუ მასონური „ახალი მსოფლიო წესრიგით“ – ანტიქრისტესთვის – საერთო მსოფლიო სახლისა და გაერთიანებული რელიგიის მაშენებელია – სახელმწიფო რუსეთიც(ისევე, როგორც ყველა ქვეყანაა ჩაბმული მაგ „ფერხულში“)...

სსრკ იმის აწყობილია, ვინც ამერიკა დააარსა, ვინც მართავს მსოფლიო პროცესებს და მანვე დაშალა სოციალისტურ-კომუნისტური უტოპიური წყობილება, მას მერე, რაც ამ იდეოლოგიურმა მონსტრმა შეასრულა ამ ტერიტორიაზე ხალხის მანქურთიზაცია, ტრადიციებს მოწყვეტა და „ახალი ადამიანის“ – მსოფლიო მოქალაქის შემზადება მომდევნო („დემოკრატიული“) ეტაპისთვის, რომელიც, მისდათავად, შეუმზადებს საფუძველს მესამე (სინამდვილეში – ანტიქრისტეკრატიაა, დაერქმევა კი – „მონარქია“) საბოლოო ეტაპს...

სწორედ საამისოდ მოაწყობინეს რევოლუცია ლენინს, მოაგებინეს ომი სტალინს და დონორობდნენ სსრკ-ს მთელი 70 წელიწადი. მერე კი, რაღა გასაკვირია, რომ კაპიტალიზმზე (დემოკრატიით შეფარული) გადაწყობა უნდა დაეწყოთ და შექმნეს კიდეც თავისი „ძაღლიშვილებისგან“ თანამედროვე მონათმფლობელები, არააგენტი ხალხისგან კი – მონები.

თქვენ, რომ იცოდეთ, ეროვნულობის გარდა, ამის გამოც უწოდა ამერიკამ ზვიად გამსახურდიას (მაშინ, როცა ჩეხი ვაცლავ ჰაველი თან ეროვნული გმირიც გახადეს და თან – პრეზიდენტიც) – **„მდინარეების წინააღმდეგ მავალი“** და როცა მან მათ უპასუხა – **„მდინარებას დამპალი თევზები მიჰყვებიანო“,** ამით მან უარი თქვა ნეომონათმფლობელთა(ოლიგარქთა) რიგებში გაწევრებაზე და უბრალო ხალხის მხარეზე დადგა(თენგიზ სიგუას ააწევინეს აჯანყება – ვითომ „მიწის რეფორმის“ საბაბით).

სწორედ ასე გადაწყდა მისი ბედის საკითხი და ზუსტად მაგიტომ უთხრა რუს-ამერიკული ნეომონათმფლობელების წარმომადგენელმა გენერალმა დანანებით – **„ხომ იცით, ბატონო გამსახურდია, რას მოგიტანთ ეს? – პასუხი: სიკვდილს!**

რუს-ამერიკელი გენერალი: ძალიან ვწუხვარ, კონსტანტინეს ძევ“!

ანუ, რომ არა, 1978-ის 14 აპრილის ენის დაცვის დღე (არც ერთ რესპუბლიკას იგივე არ მოუმოქმედნია, მაგრამ საქართველოს გამოისობით ყველას მოათხოვინეს და გაუფორმეს), რომ არა 9 აპრილის ეროვნულ-განმათავისუფლებლური თავდადება და რომ არა ზვიად გამსახურდიას რეფერენდუმი – არც ერთი რესპუბლიკა არ გამოაკლდებოდა სსრკ-ს და მოხდებოდა პირდაპირი გადასვლა კაპიტალიზმზე, მაგრამ, რადგან საქართველომ მოახერხა სსრკ-დან გამოყოფა, ბუნებრივია ბალტიისპირეთიც უნდა დაეთმოთ და საბოლოოდ დაშალეს სსრკ, მაგრამ აამუშავეს მეორე გეგმა, რაც განხორციელდა და ჯერაც მიმდინარეობს.

ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირები, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირები და მისთანები, ემსახურება მსოფლიოს გაერთიანება-გამთლიანებას, საერთო იდეოლოგიით, რელიგიით, მსოფლმხედველობით... ანუ, რუსეთის ხელისუფლება მსოფწესრიგის აქტიური წევრია და რელიგიურადაც(ეკუმენიზმი) უერთდება მსოფლიო გაერთიანებას და ჩიპიზაციითაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფიზიკურ არსებობაზე ანუ გეოპოლიტიკურ სივრცეზე არ იზრუნოს.

აი, სწორედ ამაში სრული კარტბლანში აქვს ამერიკა-ევროპისგან რუსეთს და როცა ქართველი მედასავლეთეები მისი გეოპოლიტიკური გავლენის სფეროშიც ხელს აფათურებენ, ცხადია, ეს ეწინააღმდეგება ამერიკა-რუსეთის საერთო გეგმას და არც დაგვხმარებია და არც დაგვეხმარება ევრო-ატლანტიკა რუსეთთან ფიზიკურ ბრძოლაში.

როცა ასეთი მოცემულობაა, არაა მედასავლეთეობა ნეოსერგოორვჯონიკიძეობა, „სატოპკის აწევა“ და მათ „წისქვილზე წყლის დასხმა?!

„ძაღლი ძაღლის ტყავს არ დაგლეჯს“ და ისინი ერთმანეთის „ძაღლისშვილები“ გახლავან („ძაღლისშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილიაო“ – მასონური ფორმულა). ისინი – დიდი კაპიტალისტ-მონათმფლობელები არიან და ჩვენ კი – პატარა მოსამსახურენი.

აქ უპრიანი იყო – „მონა“ დამეწერა, მაგრამ არ ვიკადრე, იმიტომ, რომ მართლქრისტიანი ერი არაა მონა, არამედ – აზნაურია, არაა გოი – არამედ თავისუფალია, არაა ბნელი – არამედ ნათლით განბრძნობილია, მაგრამ... არის კი სადღეისოდ ეს ასე?!..

ჩვენი ეკლესია რომ არ იყოს გაერთიანებული რელიგიის ფერხულში ეკუმენიზმით ჩაბმული, ანუ ღმერთის კანონმორჩილი რომ იყოს ანტიეკუმენიზმით, კვლავაც საზეპურო, რჩეული ერი ვიქნებოდით და ღმერთი შურდულითაც კი დაგვამარცხებინებდა გოლიათს(ებს), მაგრამ საპატრიარქოს კურს-ნაბიჯები, ერთი ღმერთმა უწყის – ნებსით თუ უნებლიეთ სრულიად ეწერება მასონურ მსოფლიო მოწყობის გეგმაში...

როგორც სსრკ-ს დაშლამდე იცოდნენ „ძაღლიშვილებმა“ რომ თანამედროვე ფეოდალები უნდა გამხდარიყვნენ, (რაშიც ხელს უშლიდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები და მოიშორეს, და, ასევე მოიშორებენ ჩემისთანებს-რელიგიურ დისიდენტებს, რათა ბუნებრივი აღქმა-გააზრება ჰქონდეს - ეპისკოპოსების ფეოდალიზაციას, რომელთათვისაც სულერთია – ეკუმენიზაციაც და ანტიქრისტეკრატიაც!), ასევე იციან – საეკლესიო მასონურმა წრეებმა, რომ ანტიქრისტეს გამეფებას უნდა წინ უძღოდეს – დემოკრატიიდან მონარქიაზე გადაწყობა და პარლამენტში ისეთი პარტიების მობილიზება მიმდინარეობს, რომლებიც კონსტიტუციურ მონარქიაზე გადაიყვანენ სახელმწიფო წყობას ...

* * *

ამჟამადაც ასეა, უმრავლესი მათგანისთვის და ამის ბრალია, რომ ე. წ. „მერვე კრება“ – ავაზაკთა კრებით დასახელდება მართალ მატიანეში! შეადარეთ: ქრისტეს ბილიკებს უმზადებდა ბიბლიური – ღმერთის აღთქმა ადამისადმი („მოგივლენ მხსნელს (მესიას) და ის დაგაბრუნებს სამოთხეშიო“), ამ აღთქმის მიმდევარი წინასწარმეტყველები და იოანე ნათლისმცემელი, ხოლო, ანტიქრისტეს, როგორც ორ-

ხელისუფლიან მეფე-პატრიარქს, საპატრიარქო ტახტს უმზადებენ – პანეკუმენისტები და სამეფო ტახტს კი – პოლიტიკოსები...

ამ უკანასკნელთა, სულიერმა წინაპრებმა ხალხს თავისი ხელით დაამხობინეს ღმრთივკურთხეული მონარქია – ბატონყმობისგან განთავისუფლების საბაბით და თვითონ გაუბატონდნენ, რათა, მათმა მემკვიდრეებმა, ახალი მონარქია(სულ ერთია, თავიდან კონსტიტუციურით დაიწყებენ და მაინც აბსოლუტურ-ანტიქრისტულში გადაიზრდება) მოახვიონ თავს მსოფლიოს.

აბა, გაიაზრეთ, როგორი აპოსტაზიური დროა, სამყარო მთლიანად სეკულარიზებულია და უცერემონიოდ (მსოფლიო კრების დონეზე) აწარმოებს – ზეციური სარწმუნოების გამიწიერებას, ანუ მართმადიდებლობის გაგნოსტიციზებას, პანთეიზაციას და პაგანიზაციას!...ამავდროულად – ადამიანის გაღმერთებას – ქრისტოცენტრულიდან ანთროპოცენტრულამდე პროფანაციას!..

ასეთ დროს, ნაცვლად ანტიეკუმენისტური მისიისა, რომ საქართველოს ეკლესია ევქარისტულად გაემიჯნოს ქვაბავაზაკთა საკრებულოს და მთელი მსოფლიო ეკლესიის დატერორებული ანტიეკუმენისტები შემოიერთოს თავის იურისდიქციაში, საპატრიარქო ზრუნავს პოლიტიკურ გაბრწყინებაზე, ანუ – როგორც ძველ საქართველოში ითვლებოდა– პატრიარქი მეფის სწორად, ხოლო თავადის სწორად ეპისკოპოსი, ასევე იქნება საპატრიარქო – მონარქიული ინსტიტუტის პრივილეგიური ფენა. მაგრამ, ეს არ იქნება მართლმადიდებლური, რამეთუ განსხვავება ისაა – ძველ, ქრისტიანულ მონარქიულობასა და ახლებურ მონარქიულობას შორის, რომ ეს უკანასკნელი – მასონურია; ამაზე შეიძლება ითქვას: „ნუ ჩაასხამთ ძველ ტიკებში ახალ ღვინოს, თორემ დასკდება-დაიღვრებაო“! ის, ძველი, ემსახურებოდა (ავად თუ კარგად – მნიშვნელობა არა აქვს – ახლანდელთან შედარებით) ქრისტიანობას, ეს ახალი კი ვერც ახალ რუის-ურბნისს მოიწვევს და ვერც იბერიას გაბრწყინებს!

იცოცხლეთ, ჩვენ, რომ დავითის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის დროინდელი საქართველო ვიყოთ, და ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს, მაშინ სხვა ქვეყნებთან თანაბარუფლებიანობისა და ბრძოლის შნოც გვექნებოდა, მაგრამ ამჟამად უკიდურესობებს შორის გვიწევს სასიცოცხლო პირობების გამოძებნა...

ჩვენს ხელთ არის მხოლოდ სარწმუნოებრივ-ეროვნული (და არა – ეროვნულ-სარწმუნოებრივი), ანუ ანტიეკუმენისტური ბრძოლა, რომელიც საქართველოს სულიერ მისიად შესაძლოა, ვაქციოთ, და რომელსაც არ იყენებს საპატრიარქო, თორემ რუსეთთან ჩხუბით კი, უბრალოდ, სრულ სიგიჟესთან და კამიკაძეობასთან გვაქვს საქმე და ეს ეროვნულობა ტყუილად გგონიათ...

ეს უნდა დამთავრდეს, ამ ჰიპნოზისგან დაუყოვნებელი განთავისუფლებაა აუცილებელი –საჭიროა, გაარჩიოთ ერთმანეთისგან მენტალური მედასავლეთეობა-მერუსეთეობისა თუ გეოპოლიტიკური კავშირ-ურთიერთობების მნიშვნელობანი, შესაბამისად კი შეფასებები – დასავლეთისა ან რუსეთისადმი დამოკიდებულებანი – „რენეგატობა“ გამოდის თუ ჩვეულებრივი, სამეზობლო და პოლიტიკური დაზავების დიპლომატია.

ხოლო ჩვენი ეროვნული და სარწმუნოებრივი, მოყვრულად მოქმედი, შინაური და გარეული მტრების და მათი საიდუმლო იარაღის გამოცნობა-მხილება, მოყვარის და მტრის გარჩევის მეთოდიკა და ასევე, საკუთარი თავისგან მტრობის ცნობადობის გადაცემა თაობებისადმი(რომლებისგანაც მანქურთების გამოყვანას ცდილობენ), ისეთივე აუცილებლობაა, როგორც სამოთხისეულ-ბიბლიურ-სახარებისეული მეხსიერებისა.

აი, ეს ზღვარი შეგნებისა, გონიერებისა, ავის და კარგის გარჩევისა, ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევისა და მოქმედებისა, რომ წაეშალათ ხალხთა ცნობიერებაში მასონებს, იმიტომ იყო სავალდებულო „ანტისახელმწიფოებრიობის“ მუსრის გავლება მშენებარე სსრკ-ში... ისევე როგორც, ეს ხდებოდა დასავლეთში: სანამ თავის ჭკუაზე მოიყვანდნენ ხალხს, მანამდე ტრადიციულად მოაზროვნეებს აპატიმრებდნენ, ან საგიჟეთში ამწყვდევდნენ, რაშიც თვით სახელმწიფოებრივად ზომბირებული აგენტურული სოციუმი (სამეზობლო თუ სამსახურის თანამშრომლები) მონაწილეობდა, ანუ აბეზღებდა „ანტისახელმწიფოებრივებს“. რაც მოგვიტანა ეროვნული გონის „ნაღებმოხდილმა“ არსებობამ, იგივეს მოგვიტანს ეს უგნური იარლიყი – „ანტისახელმწიფოებრიობაც“ და ვერც ეროვნული, ვერც სარწმუნოებრივი და, საერთოდ, ადამიანური განსჯის უნარი შეგვრჩება!

არც ერთ მამას, რომელიც ამბობდა – „დასავლეთით გვსჯიდა უფალი და დასავლეთით დაგვსჯისო“ – არ სძულდა დასავლეთის ადამიანები და მათი ტერიტორია (სადაც მართლმადიდებელი ეკლესიაც იყო), არამედ ამაში იგულისხმებოდა ის „საიდუმლო უსჯულოებისა“, რომელიც შუა საუკუნეებში შეიტანეს დასავლეთში, იქცა ერესად, მერე, ქრისტიანობის სახელს ამოფარებულ წარმართობად, შემდგომ ათეიზმად (ღმერთი არ არისო, ამასაც ავრცელებს ეშმაკი, რათა თავად გაუღმერთდეს ბრმამორწმუნეებს), ანუ ათეოკრატიად, რაც გარდამავალი ეტაპია, გადასასვლელად დემონკრატიაში(ანუ ხალხის და თავისუფლების სახელით, სატანასთან სულმიყიდულების კრატიაზე, რომელთა მმართველობა არის კერპთაყვანისმცემლობა და ისეთი ცხოვრების აწყობა, რაც განაპირობებს ხალხის – ეშმაკთა ჭკუაზე სვლას და იმის კეთებას, ვისაც რას ჩააგონებენ დემონები), და შემდგომ კი – ანტიქრისტეკრატიაში განსრულდება.

აი, რას ემსახურება დასავლეთი, თავის პოლიტიკიან-ორიენტაციან-რელიგიურობიანად, ვინაიდან, ანტიქრისტეს ორხელისუფლებიანი სამეფო-საპატრიარქო ტახტი, პოლიტიკურადაც მზადდება და რელიგიურადაც, ანუ – კაცობრიობის ცნობიერების შემზადება ხდება დასავლური სისტემით, რაც წარმოადგენს უსჯულოების საიდუმლო სისტემას... საიდუმლოს, იმიტომ, რომ იგი საუკუნეების მანძილზე გველივით მოქმედებდა იატაკქვეშ და იმიტომაც, რომ – გასაიდუმლოებულია მისი წარმმართველი ძალა – ცრუ „სიონიზმი“...

წმინდა სიონი, ისევე როგორც იერუსალიმი, ძველი აღთქმიდან ახალ აღთქმაში, ანუ ქრისტიანობაში გაგრძელდა და აქაც სულიერ ორიენტაციაზეა აქცენტი და არა გეოგრაფიულ სიონსა და ისრაელზე...

ასევე, როცა სისტემას და მის წარმმართველ „სიონისტებს“ ვამხელთ, ცხადია, არც გეოგრაფიული ისრაელის ადამიანების მათთან იდენტიფიკაციასა და ანტისემიტიზმზე არაა საუბარი;

ყოველი ადამიანი ღვთის გაჩენილია და როგორ შეიძლება რასიზმზე იყო ორიენტირებული; სამყარო ღმერთმა მოგვცა და რანაირად შეიძლება ტერორიზმით ანადგურებდე; ღმერთმა ყველას თავისუფლება გვიბოძა და როგორ უნდა დაიპყრო კაცობრიობა? რა გაიძულებს, რომ კეთილი საწყისი შეცვალო ბოროტით?

აი, ამაში ვამხელთ უსჯულოების საიდუმლო სისტემას და მის წარმმართველ ძალას!

კეთილგონიერება მაშინ გეუფლება, როცა რწმენით გაითავისებ ღმერთისგან შექმნილ ადამიანს, რომელიც ღმერთმა შექმნა განსაღმრთობად და აკურთხა – უპატრონე და ემსახურე სამყაროს, ფლორას, ფაუნას, მეუღლეს, შვილს, მოყვასს... როცა გაითავისებ – განკაცებული ღმერთის ადამიანისადმი სიყვარულს და მსხვერპლს, რომელიც სამოთხეში დასაბრუნებლად შეგწირა...

გთხოვთ, თვალთა მზერა ღმერთს გაუსწორეთ და დაინახავთ, ყურთასმენა პროწმინდანობისკენ გაამახვილეთ და არ მოტყუვდებით, სულიერება მშვინვიერებისგან და პოლიტიზირებისგან გაინთავისუფლეთ და სიმართლეს და სიმრუდეს გაარჩევთ.

ერთიანობა სჭირდება საქართველოს, ერთობა – ჭეშმარიტებაში.

ზვიად ნოდია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ვინაა ბატონ-პატრონი შავ ზღვაზე?

შავი ზღვის რეგიონი საერთაშორისო ინტერესების ბრძოლის ზონად იქცევა

რუსეთის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა წარმატებით გამოსცადეს მოქმედების ახლო რადიუსის რაკეტსაწინააღმდეგო იარაღი. გამოცდები გაიმართა ყაზახეთში სარი-შაგანის პოლიგონზე, რომელიც არენდირებულია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მიერ. უწყებაში ასევე აღნიშნეს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რუსეთის სისტემის შემადგენლობა და საბრძოლო დახასიათება საშუალებას იძლევა, მოახდინონ სარაკეტო-ბირთვული დარტყმის შესაძლო გამოყენების საფრთხის თავიდან აცილება, მათ შორის, დახურონ მისი მიმართულებაც. ნატოსა და რუსეთის ურთიერთობის გაუარესების ფონზე კრემლმა ამ ცოტა ხნის წინათ გააკრცელა გაფრთხილება, რომ განზრახული აქვს, მოახდინოს დასავლეთის ნებისმიერი მოქმედების ნეიტრალიზება შავი ზღვის რეგიონში, რომელიც შეიძლება ავხსნათ როგორც რუსეთის ფედერაციის უშიშროების საფრთხე. დაკავებული პოზიციების სხვაობამ მიგვიყვანა იმასთან, რომ ნატოს უდიდესი სუბიექტის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში — თურქეთისა — მოსკოვის მიერ აღიქმება, როგორც მისი ინტერესების გამოწვევა.

ბევრ დასავლელ ექსპერტს აქვს შიში, რომ რუსეთის სამხედრო ძალების მოდერნიზაციის თანამედროვე დონეზე ნატოს თავდაცვით სისტემებს არ ექნებათ უნარი, უზრუნველყონ დაცვის სათანადო დონე. რუმინეთის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯორ კრისტიან მაიორი ამბობს: **„თუ ჩვენ რეაგირებას არ მოვახდენთ ამ ტრენდებზე, მოვლენათა მსვლელობა შეიძლება კონტროლს ასცდეს. ამის შედეგები კი შეიძლება იყოს ძალიან სერიოზული, არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონისთვის, არამედ უფრო შორეული რაიონებისათვის და საერთაშორისო უშიშროებისთვისაც მთლიანად“.**

საქართველოსა და ყაზახეთში ამერიკის შეერთებული შტატების ექს-ელჩის უილიამ კორტნის აზრით, **„ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდების რეიდები შავ ზღვაში დღეისათვის შეინიშნება მხოლოდ იშვიათად. მათ, ვისაც აინტერესებს, თუ რატომაა ამ რეგიონში ამერიკული ფლოტის ასე ცოტა ხომალდი, უნდა იცოდეს, რომ, მონტრეს კონვენციის წესებით, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო ნავიგაციას, შავი ზღვის აკვატორიუმში ერთდროულად ყოფნის უფლება აქვს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ძალების მხოლოდ სამ ხომალდს, თითოეულს — სამ კვირამდე. მაგრამ ამჟამად იქ ჩვენი ასეთი ხომალდი არაა, ვინაიდან ეს არაა ჩვენი პრიორიტეტი. ნატოს ფლოტის პატრულირება ამ წლებში პერმანენტული უნდა იყოს“.**

საბრძოლო მორიგეობის წარმოებისათვის შავ ზღვაში ამერიკელებმა უნდა მოახდინონ ხომალდების როტაცია. ეს მოითხოვს უფრო მასშტაბურ საოპერაციო დაგეგმვას. ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ბრიუსელში ორგანიზაციის შტაბბინაში გამოსვლის დროს ადასტურებს, რომ მისი ამოცანა — ესაა სამხედრო ყოფნის გაზრდა შავი ზღვის რეგიონში. როგორც ცნობილმა ამერიკელმა დიპლომატმა ჯონ ჰერბსტმა აღნიშნა, რუსეთმა ყირიმში განახორციელა აგრესიის აქტი, და დასავლეთის არსებითი ამოცანაა, აღკვეთოს ამგვარი მოქმედებები მომავლისათვის.

Voice of America

ბათალ ტაბაღუა: ჩვენთან არაა ხელმოწერების შემოწმების ლაბორატორია

სოხუმში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბათალ ტაბაღუამ პრესკონფერენციაზე გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება რეფერენდუმის მოწყობისათვის და უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებს.

აფხაზეთის პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას და დანიშნა რეფერენდუმის მოწყობა 10 ივლისისათვის. აფხაზეთის მოქალაქეებს შესთავაზებენ, უპასუხონ შეკითხვას: „მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლად აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები“?

რეფერენდუმისათვის მზადების დროს ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობს ორი კანონით — „რეფერენდუმის შესახებ“ და „სახალხო კრების — აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატების არჩევნების შესახებ“. აფხაზეთის ტერიტორიაზე კენჭისყრა გაიმართება 33 ოლქსა და 168 უბანში. მის განხორციელებას უზრუნველყოფს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების 1700 წევრი. კენჭისყრის მონაწილეთა სიები გამოიკიდება რეფერენდუმამდე ათი დღით ადრე, 15 დღით ადრე კი მზად უნდა იყოს ბიულეტენები კენჭისყრისათვის.

ბათალ ტაბაღუამ განაცხადა, რომ რეფერენდუმის გარშემო ბევრი „არაჯანსაღო ხმა დადის“. მან მოუწოდა ყველას, შეხვდნენ ამ მოვლენას მშვიდად და არ დაძაბონ სიტუაციები.

თავის გამოსვლაში საზოგადოებრივ პალატაში რაულ ხაჯიმბა საუბრობდა იმის შესახებ, რომ ხელმოწერათა შეკრება მოხდა არაკეთილსინდისიერად, მისი ზედაპირული განხილვის შედეგადაც კი ჩანს, რომ ხელმოწერები ხშირად ერთი ხელით იყო გაკეთებული და ერთი ადამიანის მიერ ოჯახის ყველა წევრის სახელით.

თხოვნაზე, გაუკეთოს კომენტარები შინაგან საქმეთა მინისტრის ლეონიდ ძიაპშბას გამოსვლას, რომელიც იმუქრება გაათავისუფლოს თანამშრომლები, თუ ისინი მიიღებენ რეფერენდუმში მონაწილეობას, ბათალ ტაბაღუამ თქვა, რომ პრეზიდენტი გამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების წინაშე და ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. აფხაზეთის ყოველ მოქალაქეს აქვს არჩევნების უფლება, და თითოეულმა თავად უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა მონაწილეობა რეფერენდუმში.

შეკითხაზე იმის შესახებ, მიიღებს თუ არა რეფერენდუმში მონაწილეობას აფხაზეთის გალის რაიონი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თქვა, რომ იქ ამომრჩეველთა ოდენობა დიდი არაა, ამიტომ იმუშავებს მხოლოდ ერთი უბანი ოლქში ქალაქ გალში. კენჭისყრისათვის ორი დამატებითი უბანი გაიხსნება მოსკოვსა და ჩერკესკში.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

მერკელმა განაცხადა გერმანიის სურვილის შესახებ, მნიშვნელოვნად გაზარდოს ხარჯები თავდაცვისათვის

კანცლერის აზრით, ამჟამად ევროკავშირს არ შეუძლია დაიცვას თავი გარეგანი საფრთხისაგან და მას შეუძლია, იმედი იქონიოს მხოლოდ დახმარებაზე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. ეს ნიშნავს, რომ გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ხარჯების საკითხებში უნდა მოძრაობდნენ ერთიანი მაჩვენებლისაკენ, მიაჩნია ქალბატონ მერკელს.

პოლიციელმა მოსულიდან გადაიღო ვიდეოზე ენობურის სპეციალური დანიშნულების რაზმის სწავლება წინააღმდეგობათა გადალახვისათვის

მოკლე ვიდეო გახდა ინტერნეტ-სენსაცია, მოაგროვა 29 მილიონი მნახველი ფეისბუქში ექვსი დღის განმავლობაში. „სულ ცოტა 32 წამის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ადამიანები საზოგადოების ყველა ფენიდან შეიკრიბება ერთად ამ შესანიშნავი მომენტისათვის“, — დაწერა კრის უილიამსმა, რომელიც პასუხისმგებელია ქალაქ კამდენტონში სკოლის უსაფრთხოებისათვის.

აშშ-ის კონგრესში გადაწყვიტეს, შექმნან რუსი მზვერავებისათვის თვალყურის დევნის ორგანო

როგორც სენატის კომიტეტის დოკუმენტშია ნათქვამი, ეს გუნდი შეიკრიბება ყოველთვიურად და მისი ამოცანა გახდება რუსი ჯაშუშების გამოვლენა, მკვლელობათა გახსნა, რომლებიც შესრულდა მოსკოვის დავალებით, იმ ორგანიზაციების დაფინანსების კვლევა, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ინტერესებით მოქმედებენ, წერს BuzzFeed.

კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გაუშვა საშუალო სიშორის ორი ბალისტიკური რაკეტა

ჩრდილოეთმა კორეამ განახორციელა ბალისტიკური რაკეტის გაშვება აღმოსავლეთი სანაპიროდან, იტყობინება სამხრეთი კორეის სააგენტო Yonhap სამხედრო წყაროზე მითითებით. მისი მონაცემებით, ეს შეიძლება იყოს „მუსადანის“ ტიპის საშუალო სიშორის რაკეტა. წინა ოთხი მცდელობა — გაეშვათ ასეთი რაკეტა — წარუმატებლად დამთავრდა.

ბრაზილიაში მოკლეს იაგუარი, რომელიც ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში ღებულობდა მონაწილეობას

ცხოველი გაექცა ზოოპარკის მუშაკებს და თავს დაესხა ჯარისკაცს. შეეცადნენ, დაეძინებინათ მტაცებელი და ესროლეს მას დასაძინებელი წამალი. მაგრამ ამან არ იმოქმედა, რის შემდეგაც სამხედრო იძულებული გახდა, მოეკლა იაგუარი პისტოლეტით. ცხოველთა დამცველების აზრით, ესტაფეტაში მონაწილეობამ და ტურისტებთან ურთიერთობამ მიგვიყვანა იაგუარის სტრესთან.

◎ საპარლამენტო ციბ-ცხელება

როცა სანახაობა კონკრეტულ საქმეს ჯაბნის

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება მასში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი. დიდი თუ პატარა დაირაზმა პარტიების შექმნის სურვილით. და თავბრუდამხვევი სისწრაფით იქმნება ახალი პარტიები. ყველა მათგანი „ბედნიერ“ ცხოვრებას გვპირდება, ისე, როგორც მათი წინამორბედი „ძველი“ პარტიები.

საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი სახე, ყველა თუ არა, მნიშვნელოვანი ნაწილი, საკუთარ პარტიას ქმნის და საზოგადოებას ორიენტაციისთვის საკუთარ გვარსა და სახელს სთავაზობს, მაგალითად ისე, როგორც თამაზ მეჭიაური – „მეჭიაური და ... („მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“).

კიდევ კარგი ქართულმა „გონიერებამ“ ეს მაინც მოიფიქრა, თორემ უკომპასო ამომრჩეველს გაუჭირდებოდა უამრავ პარტიაში „ნანატრის“ მიგნება?!

ყველა ახალს, გულუხვ დაპირებასთან ერთად, „თავმდაბლობაც“ ამკობს. მაგალითად, ბურჭულაძის და მეჭიაურის ახლადგამოჩეკილი პარტიებიც კმარა. ბურჭულაძე აცხადებს, რომ უდავოდ გაიმარჯვებს და პირველ ადგილზე გავა – თითქოს მსოფლიო ჩემპიონატი იყოს. გამარჯვებას აანონსებს მეჭიაურელი მოროშკინაც, ოდნავი „მოკრძალებით“ – მეორე ადგილს ავიღებთო. წინ 4 თვეა და ამ ხნის მანძილზე რამდენ „სიხარულს“ შეეყრება საქართველოს ამომრჩეველი, ღმერთმა უწყის.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ჩემპიონატში მონაწილე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს, ხშირად საყვედურობდნენ, ინდივიდუალურად თამაშობენ, არა გუნდურად და ასეთი თამაშით გაჭირდება წარმატების მოპოვებაო. ის დრო ისტორიას ჩაბარდა, მასთან ერთად ქართული ფეხბურთიც. ინდივიდუალური თამაშის სურვილი პოლიტიკაში გადაბარგდა. პატარა აზრთა სხვაობაც საკმარისია, რომ პოლიტიკით დამუხტული მავანი, გამოვიდეს „მშობლიური“ პარტიიდან და სხვა პარტიაში შევიდეს ან ახალი პარტიის „მშენებლობას“ მიჰყოს ხელი.

მოჭარბებულ ინდივიდუალისტებს ეს ბოლო ვარიანტი უფრო ხიბლავთ, ცხადია მაშინ, როდესაც დაფინანსების წყაროს მიაგნებენ ხოლმე. როგორც ამბობენ, მეჭიაურმაც მიაგნო საბადოს, ივანიშვილის სახით.

კონსპიროლოგთა აზრით, უფრო ივანიშვილმა მიაგნო მეჭიაურს და დაფინანსებაც აღუთქვა. მიზანი? „ოცნების“ სატელიტი პარტიის შექმნა, სხვისთვის ხმების წასართმევად. რით არის „ოცნება“ „ნაცებზე“ ნაკლები? მასაც ხომ უნდა ჰყავდეს თანამგზავრი პარტიები? მართალია, ყველა ისინი თავგანწირვით გაჰყვირიან – „ნაცებთან“ არაფერი გვაკავშირებსო, მაგრამ სჯერა ამის ვინმეს?!

შექმნილი ვითარება გვიკარნახებს სახელმწიფოებრიობის განუვითარებლობაზე. როგორც ჩანს, დამოუკიდებლობის 25 წელი, არცთუ დიდი დროა ქვეყნის პოლიტიკური ჩამოყალიბებისთვის. თუ რა მიიღო ან არ მიიღო ქვეყანამ დამოუკიდებლობის ჟამს, იოლი ჩამოსათვლელია და მათ შორის გამოკვეთილი ადგილი პოლიტიკურ ცხოვრებას უკავია. ვერც ერთმა პარტიამ თავი ვერ დაგვამახსოვრა ვერც მდგრადობით, ვერც საქვეყნო მშენებლობით, ვერც ქვეყნის გაერთიანებით.

ტრადიციად იქცა საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიების შექმნა და წარუმატებლობასთან ერთად მათი გაქრობა. თვალი გადავავლოთ განვლილ წლებს და გავიხსენოთ, რამდენი პარტია იყო პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, რამდენი შემორჩა, თუნდაც იმპოტენტი, რამდენი სულს ღაფავს – სხვისი დახმარების იმედით. ის, ვინც ერთი მოწვევის პერიოდით ქვეყანას „მოაჯდა“, ხელისუფლების დაკარგვის პერსპექტივას, მანიაკალურად განიცდის.

ყველა პარტია, გარდა იმისა რომ აღმშენებლობას და კარგ ცხოვრებას გვპირდება, ტერიტორიულ გამთლიანებას და ევროატლანტიკურ სივრცეში შესვლასაც გვთავაზობს. ოპტიმიზმი „ახალსაც“ და „ძველსაც“ შესაშური აქვთ, რითაც გავლენას ახდენენ ამომრჩეველზე. გაიხსენეთ, რა ოპტიმიზმით იყო გაჟღენთილი „მოქალაქეთა კავშირი“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“. მოსახლეობისთვის შეთავაზებულ „მენიუში“ პირველ „კერძად“, თანაც საფირმოდ - „ტერიტორიული მთლიანობა“, „ნატოში“ შესვლა იყო აღნიშნული.

„ოცნებამ“ ამ ორს, კიდევ ორი დაუმატა – ევროკავშირთან ასოცირება და ვიზალიბერალიზაცია, ცხადია, ნატოში შესვლისთვის „მაპის“ მიღება. ეს მაშინ, როდესაც ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოს მიღება ერთობ შორეული პერსპექტივაა. მართალია, ყველა მათგანი იურიდიულად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ეჭვს გამოთქვამს იმ პერსპექტივის გამო, რასაც ტერიტორიის გამთლიანებისთვის ნატოში შესული საქართველოს ჰიპოთეტური „ბლიცკრიგი“ ჰქვია.

დასავლეთისკენ თავქუდმოგლეჯილი სირბილის შედეგად ქვეყანამ რაიმე ხელმოსაკიდ წარმატებას ვერ მიაღწია, თუ არ ჩავთვლით ევროკავშირთან ასოციირებულ წევრობას. და აქაც, ევროკავშირის ინიციატივა თვალშისაცემია. რომ არა რუსეთის ფაქტორი და ევროკავშირის პროგრამა „აღმოსავლეთის პარტნიორობა“, უდავოდ არ იქნებოდა ასოციირებული წევრობა.

და მაინც, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს და არის თუ არა ის რაიმეთი მეტი, ვიდრე ასოციირებული ეგვიპტე, მაროკო ან ჩილე, რომ აღარფერი ვთქვათ ევროკავშირთან ასოციირებულ სხვა ქვეყნებზე?

საქართველომ მოიპოვა ევროკავშირის ბაზარზე შესვლის უფლება, მაგრამ არის თუ არა ის სრულიად თავისუფალი და არა ისე შეზღუდული, როგორც უკრაინა? ასოციირებულ უკრაინას კვოტები დაუწესეს, მაგალითად ხორბლის ევროკავშირის ბაზარზე შეტანაში, რაც ნახევარი წლის განმავლობაში უკრაინამ უკვე ამოწურა. საქართველოს საერთო საგარეო ვაჭრობის მოცულობა 2015 წელს, წინა წელთან შედარებით 14%-ით შემცირდა. მიზეზი – სამეურნეო საქმიანობის შემცირება დსთ-ს ტრადიციულ პარტნიორებთან.

პრობლემებია შექმნილი ვიზალიბერალიზაციის საკითხებშიც. თუმცაღა, დაბეჯითებით გვპირდებიან, რომ ის წლის ბოლომდე აუცილებლად გვექნება.

25-წლიანმა დამოუკიდებლობამ რომ რაღაც პოზიტიური შეგვძინა, ძნელად სათქმელია. საითკენაც გავიქეცით, „ღია კარს“ მივახალეთ თავი, როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხებში ჩიხში აღმოვჩნდით და ნაცვლად იმისა, გადარჩენისთვის სერიოზულად ვიფიქროთ, პარტიას პარტიაზე ვქმნით და ხალხს სანახაობით ვართობთ...

ნაცვლად ევროპა-ამერიკის კარზე გამუდმებული ხვეწნა-მუდარისა – ნატოში მიგვიღეთ, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა დაგვიწესეთო და სხვა, უმჯობესია,

არც შვედეთს და არც ფინეთს არასდროს აუტალახებიათ ნატოს კარი, ნატოში შეგვიყვანეთო. ამ წარმატებულ ქვეყნებს ნატო აგლეჯს კალთებს – ჩვენთან შემოდითო, მაგრამ ისინი თავს იკავებენ გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. რუსეთის ფაქტორს ითვალისწინებენ. არ სურთ შექმნილი პოზიტიური კავშირების გაუარესება, ეკონომიკური დივიდენდების უგულებელყოფა. ისინი პრაგმატულად, ქვეყნის სასიკეთოდ აზროვნებენ ანუ სახელმწიფოებრივად და არა პირადი შეღავათებისთვის, ახალი უმაქნისი პარტიების შექმნისთვის.

ოდესმე დადგება ასეთი დრო საქართველოში?!

გამარჯვებულმა პარტიამ ქვეყნის პრობლემებს მიხედოს, ხალხის სოციალური მდგომარეობა გააუმჯობესოს, ისეთი საშინაო ვითარება შექმნას, რომ ამით მსოფლიო დააინტერესოს.

არც შვედეთს და არც ფინეთს არასდროს აუტალახებიათ ნატოს კარი, ნატოში შეგვიყვანეთო. ამ წარმატებულ ქვეყნებს ნატო აგლეჯს კალთებს – ჩვენთან შემოდითო, მაგრამ ისინი თავს იკავებენ გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. რუსეთის ფაქტორს ითვალისწინებენ. არ სურთ შექმნილი პოზიტიური კავშირების გაუარესება, ეკონომიკური დივიდენდების უგულებელყოფა. ისინი პრაგმატულად, ქვეყნის სასიკეთოდ აზროვნებენ ანუ სახელმწიფოებრივად და არა პირადი შეღავათებისთვის, ახალი უმაქნისი პარტიების შექმნისთვის.

ოდესმე დადგება ასეთი დრო საქართველოში?!

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ნოვა NOVA
კრედიტი CREDIT

№22.06.2016 წ. ვ3- 02 22 ივნისი 2016 წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ დირექტორის
მელორი ასათიანის მიმართვა.

ქ-ნი მარიკა ჯოხაძე (უზრუნველყოფის მესაკუთრე)
მოგესალმებით ქ-ნი ლალი გიორგაძე (მსესხებელი, მცხოვრები: თბილისი, ტურგენევის 4).

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტსა“ და ქ-ნ ლალი გიორგაძეს შორის 2015 წლის **9 სექტემბერს** გაფორმებული, ნომერი: ***091594514*** საკრედიტო ხელშეკრულების და 2015 წლის **9 სექტემბერს** გაფორმებული ნომერი: 150991138 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: ***091594514*** -ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2015 წლის 27 დეკემბრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში.

თანახმად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა, დღეის მდგომარეობით გერიცხებათ დავალიანება, რომლის უკან დაბრუნებასაც ითხოვს კრედიტორი დაუყოვნებლივ, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი
მელორი ასათიანი

ტელ: 2 15 15 15

ნოვა NOVA
კრედიტი CREDIT

№22.06.2016 წ. ვ3- 03 22 ივნისი 2016 წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ დირექტორის
მელორი ასათიანის მიმართვა.

ქ-ნი მარიკა ჯოხაძე (უზრუნველყოფის მესაკუთრე)
მოგესალმებით ქ-ნი ოლღა მანთაშაშვილი (მსესხებელი, მცხოვრები: ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპ. 2, ბ. 102)

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტსა“ და ქ-ნ ოლღა მანთაშაშვილს შორის 2015 წლის **9 სექტემბერს** გაფორმებული, ნომერი: ***091504850*** საკრედიტო ხელშეკრულების და 2015 წლის **9 სექტემბერს** გაფორმებული ნომერი: 150991138 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: ***091504850*** -ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 27 იანვრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში.

თანახმად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა, დღეის მდგომარეობით გერიცხებათ დავალიანება, რომლის უკან დაბრუნებასაც ითხოვს კრედიტორი დაუყოვნებლივ, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი
მელორი ასათიანი

ტელ: 2 15 15 15

◎ წინ, საქართველო!

„ოქრო-ვერცხლით“ დაიწყეს

რუმინეთში დაწყებულ 21-წლამდელ ფალავანთა ევროპის ჩემპიონატში პირველნი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავენი ჩაებნენ. ასპარეზობის სასტარტო დღეს საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა სილაგაძის შეგირდთაგან ნუგზარ წურწუმიამ (50) ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ლევან ქავჟარაძე (60) და გიორგი მელია (96) მეორე ადგილებზე გავიდნენ.



შარშანდელი მსოფლიოს პირველობის ვერცხლისა და ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა წურწუმიამ ამჯერად ზედიზედ დაამარცხა უკრაინელი ვიტალი კუშნირი (10:2), სომეხი სერგეი სიმონიანი (4:2), იტალიელი ჯოვანი ფრენი (6:3), აზერბაიჯანელი აზარ ნასიბლი (10:8) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ქართულ-აზერბაიჯანული ფინალი გაიმართა 60 კილოშიც: ევროპის შარშანდელი პირველობის მესამეადგილოსანმა ქავჟარაძემ გადამწყვეტი პაექრობა მიხაილ რახმანოვთან დათმო (2:11). მანამდე ქართველმა „კლასიკოსმა“ დამაჯერებლად სძლია სომეხ გევორქ ხუმარიანს (9:0), უნგრელ ერიკ ტორბასა (5:2) და უკრაინელ ალექსანდრ ჰრუშინს (4:0).

მელიამ სადებიუტოშეხვედრა ჭაბუკებში უკრაინელთა მსოფლიოს ჩემპიონ ვლადლენ კოზლიუკს მოუგო (14:6), მერე ბერძენი მიხაილ იოსიფიდისი (8:0), ბულგარელთა შარშანდელი ევროპის ფინალისტი ევგენი გენჩევი (4:0) და გერმანელი ერკან ცელიკი (9:0) დაჯაბნა, ფინალში კი რუსეთელ რუსლან ბეკუზაროვთან დამარცხდა (5:11) და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ლაშა დიდია

◎ ევრო – 2016

ეს უკვე ტენდენციაა

ალბათ, ბევრი ურწმუნო თომა დარწმუნდებოდა, ამას წინათ ესპანეთი მთლად შემთხვევით რომ არ დაგვიმარცხებია.

დიახ, როცა ევროპის მოქმედი ჩემპიონი ორი კვირის განმავლობაში უკვე მეორე, ამჯერად ოფიციალურ მატჩს წააგებს, თანაც ხორვატეთის ექსპერიმენტულ შემადგენლობასთან, ძნელია სხვაგვარად იფიქრო.

დავძენთ, რომ ამ შეხვედრაში შეწყდა ანალოგიურ ფორუმებზე „ფურია როხას“ მშრალი სერია, რომელიც 780 წუთი გაგრძელდა, აგრეთვე – აირია მონასტერი და მივიღეთ სუპერ მერვედფინალური წყვილი: ესპანეთი – იტალია, რაც „ევრო – 2012“-ის ფინალის გამეორებაა.

საფრანგეთს სამარცხვინოდ გამოეთხოვა უკრაინის ნაკრები, რომელმაც სამივე ბრძოლა ისე დათმო, ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა.

სამაგიეროდ, ხმაურიანად გაიჯახუნა კარი თურქეთმა, რომელიც, არაა გამორიცხული, პლეი-ოფშიც მოხვდეს, სადაც სენსაციურად უკვე გააღწია ჩრდილოეთ ირლანდიის მხოლოდ ბრძოლისუნარიანობით გამორჩეულმა გუნდმა.

და ბოლოს: სავარაუდოა, რომ საინტერესოდ განვითარდება მოვლენები პოლონეთ-შვეიცარიის წყვილში, რომელსაც ძნელია ფავორიტი მოუძებნო.

ჯგუფური რაუნდი: III ტური.

„გ“ ჯგუფი. გერმანია – ჩრდილოეთ ირლანდია 1:0, პოლონეთი – უკრაინა 1:0.

საბოლოო მდგომარეობა: გერმანია, პოლონეთი 7-7, ჩრდილოეთ ირლანდია – 3, უკრაინა – 0 ქულა.

„დ“ ჯგუფი. ხორვატეთი – ესპანეთი 2:1, თურქეთი – ჩეხეთი 2:0.

საბოლოო მდგომარეობა: ხორვატეთი – 7, ესპანეთი – 6, თურქეთი – 3, ჩეხეთი – 1 ქულა.

* * *

კოპა ამერიკის პირველ ფინალისტს არგენტინას ლეგენდარული ლეო მესის სახით ისტორიაში ახალი ბომბარდირი ჰყავს.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა ლიდერმა მასპინძელ აშშ-ის ნაკრებთან იოლად მოგებულ (4:0) მატჩში ულამაზესი საჯარიმო გაიტანა და სარეკორდო ჭერი 55-მდე ასწია (ძველი მიღწევა – 54 გოლი გაბრიელ ბატისტუტას ეკუთვნოდა).

გიორგი შოთაძე

◎ ოლიმპიური ჩემპიონი

XXIV ოლიმპიური თამაშები 1988 წლის 17 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში გაიმართა. პაექრობებში 159 ქვეყნის 8465 სპორტსმენი (მათ შორის – 2186 ქალი) ჩაება. სპორტის 23 სახეობაში მედლების 237 კომპლექტი გათამაშდა. საქართველოს 16-მა წარმომადგენელმა 5 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა, რაპირა), ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში) და გელა კეტაშვილი (ფეხბურთი); ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) და ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა), ხოლო ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო), გიორგი თენაძე (ძიუდო), ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი), მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი) და მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

დიდი ჩემპიონი დან

პატარა სოფელია ხურუთი, სადაც მხოლოდ გობეჯიშვილები ცხოვრობენ და ჭიდაობის სიყვარულით გამორჩეოდნენ. შაბათ-კვირა და დღესასწაულები ისე არ ჩაივლიდა, ქართულ ჭიდაობაში ორთაბრძოლები არ გაემართათ. უფროსების შემდეგ სარბიელს მოზარდები იპყრობდნენ. თანატოლებში ერთი მაღალი, გამხდარი ყმაწვილი გამოირჩეოდა – გობეჯიშვილების ჯილა უნდა გახდეო, ეუბნებოდნენ.



დაიბადა 1963 წლის 3 იანვარს ონის რაიონის სოფელ ხურუთში. თავისუფალი სტილით მოჭიდავე, XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (სეული, 1988), XXV ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (ბარსელონა, 1992), ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი (1985, 1990) და მეორე პრიზიორი (1986), მსოფლიოს თასის სამგზის (1986-1988) მფლობელი, ევროპის ჩემპიონი (1985), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1990), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადისა (1986) და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების სამგზის გამარჯვებული (1985, 1986, 1988), დსთ-ს ჩემპიონი (1992), სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

— ალბათ, საგვარეულო ტრადიციებმა, უფროსების შეგულიანებამ ონის ჭიდაობის სექციაში მიმიყვანა სახელოვან შურა მაისურაძესთან, – გაიხსენა ბავშვობის წლები დავით გობეჯიშვილმა. – სავარჯიშო პირობები არ გვქონდა: დარბაზი პატარა იყო, ციოდა, შეშის ღუმელით ვთბებოდით. ამის მიუხედავად, 50-100 მოზარდი ხალისითა და ინტერესით სწავლობდა თითოეულ ილეთს. ჩემი სახლიდან დარბაზამდე 3 კილომეტრი მაინც უნდა გამევლო. ქალაქში ეს იოლია, მაგრამ წარმოიდგინეთ სოფელში: ხშირად უშუქობაში, წვიმასა და თოვლში მივლია, შიშიც ბევრჯერ დამიძლევია. გვიან მივხვდი, რომ ეს დამატებითი წრთობა მერე დიდ სპორტში გამომადგა.

— პირველ გამარჯვებას როდის გაუგეთ გემო?

— 1979 წელს ქუთაისს მივაშურე და უფრო სერიოზულად დავიწყე ვარჯიში მურად დოხტურაშვილის ხელმძღვანელობით. ზედიზედ ორჯერ საქართველოს პირველობები მოვიგე. დიდებშიც ვიჭიდავე და სპორტის ოსტატობას მივაღწიე, რაც მაშინ უდიდეს წარმატებად მიმაჩნდა. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე სახელოვანი ფალავანი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი გურამ საღარაძე გავიცანი და 1981 წელს თბილისის არმიის სასპორტო კლუბში მისი ხელმძღვანელობით განვაგრძე წვრთნა. ორი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ვიასპარეზე. ცნობილ ფალავნებს ვძლიე – მათ შორის ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, მსოფლიოს თასის მფლობელ ვლადიმერ პარშუკოვს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონ კოლია სკრიპკინს და მესამე ადგილი დავიკავე – ერთადერთი შეხვედრა ქულით დავთმე ვიქტორ ზანგიევთან. მერე ალი ალიევის ტურნირი მოვიგე და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მიმიწვიეს.

— დიდ სპორტში თქვენი აღზევება 1985 წლიდან დაიწყო...

— იმ წელიწადს ერევანში ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ ბრიუს ბაუმგარტნერს ვძლიე, თბილისის ტურნირზე მან მაჯობა. ნაკრებში მოხვედრა სათუო გახდა. ბულგარეთში კოლევის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავნეს, რომელსაც „საჯარიმო შეჯიბრებას“ უწოდებდნენ. იშვიათად, რომ იქ საბჭოთა მოჭიდავეს გაემარჯვა. გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძელ ათანას ათანასოვს 9:0-ს ვუგებდი, მეორე გაფრთხილება რომ მომცეს. გავბრაზდი და ბულგარელი ბეჭებზე დავდე. მწვრთნელებმა ევროპის ჩემპიონატზე წამიყვანეს ლაიფციგში. ისე გავხდი ჩემპიონი, ქულაც არ დამიკარგავს. მერე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოვიგე და საკავშირო ნაკრებში დავიმკვიდრე ადგილი.

მსოფლიოს ჩემპიონატს უნგრეთმა უმასპინძლა. მძიმე წონაში გამოდიოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი ბაუმგარტნერი, ევროპის ორგზის ჩემპიონი უნგრელი ბალა, გერმანელი შრიოდერი, მოსკოვის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატის პოლონელი ფინალისტი სანდორსკი, ერთი ირანელი ფალავანი. ფინალში ბალას წუთსა და ოც წამში წმინდად ვაჯობე. იმ წელიწადს წლის საუკეთესო სპორტსმენად დამასახელეს.

— ასეთი წარმატების შემდეგ საბჭოთა ნაკრებში ადგილის დამკვიდრება რატომ გახდა პრობლემა?

— 1987 წელს ვერც მსოფლიოზე მოვხვდი და ვერც ევროპაზე. კონტინენტის პირველობა ზაზა თურმანიძემ მოიგო. ოლიმპიური თამაშები ახლოვდებოდა. დადგა საკითხი – ვინ წავიდოდა სეულში. უპირატესობას 1987 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ხადარცევს ანიჭებდნენ. 1988 წლის თბილისის საერთაშორისო ტურნირს, სადაც პირველი ადგილი დავიკავე, მან თავი აარიდა. მერე მე მსოფლიოს თასზე გამიშვეს ამერიკაში, ევროპის ჩემპიონატზე ხადარცევმა იჭიდავა. ორივემ გავიმარჯვეთ, თან ბაუმგარტნერი დავამარცხე. ჩვენ შორის უძლიერესი საკავშირო ჩემპიონატს უნდა დაესახელებინა. მაგრამ მან შეჯიბრებას აქაც ზურგი აქცია. გამარჯვების მიუხედავად, ნაკრებში ვერ ვხვდებოდი და ოლიმპიადის მიღმა ვრჩებოდი. სამართლიანობის აღსადგენად საქართველოს მთავრობა ჩაერია. საკონტროლო შეხვედრა დანიშნეს. კისლოვოდსკში ექვსის ნაცვლად 31 წუთი ვიჭიდავეთ მე და ხადარცევმა. მისი რა ბრალი იყო, ოთხჯერ მსაჯებმა ქულა არ ჩამითვალეს, ხალიჩის მიტოვებაც მინდოდა, მაგრამ საქართველოს დელეგაციის წევრებმა არ მომცეს ამის საშუალება. 31-ე წუთზე, როგორ იქნა, ქულა ჩამითვალეს და სეულშიც მე წამიყვანეს. იქ წაგების უფლება არ მქონდა. მართლაც, ფინალამდე ყველა შეხვედრა ერთი ამოსუნთქვით გავიარე. საკმაოდ ბევრი ქულა ავიღე, რაც მძიმე წონაში იშვიათია. ფინალში უფრო ფრთხილად ვიჭიდავე – 3:1 მოვუგე ბაუმგარტნერს და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი.

ერთი ეპიზოდი მინდა გიამბოთ: ასპარეზობის პირველ დღეს ყველა შეხვედრა მოვიგე და ნახევარფინალში გავედი. ეს ორთაბრძოლა მეორე დილით უნდა გამართულიყო. ჩვეულებრივ, ადრე დავწექი. ძილ-ბურანში ცხვირწინ ოქროს მედალი მომელანდა. ვცდილობ, ხელი შევავლო, მედალი მშორდება. გავახილე თვალები და რას ვხედავ – სასთუმალთან ჩემი მეგობარი მოფარიკავე ვლადიმერ აფციაური დგას და ოქროს მედალს მიტრიალებს. თურმე წინა საღამოს მოუპოვებია ჩემპიონობა. რადგან მეორე დღეს საჭიდაო მქონდა, აღარ გავუღვიძებივარ. დილით შემოვიდა ოთახში და ხალიჩისკენ ოქროს მედლით დამილოცა გზა.

— ოლიმპიადის შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი კარიერა?

— 1990 წელს თბილისის ტურნირი მოვიგე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მხოლოდ ბრინჯაო მერგო, ჩემპიონობა ზაზა თურმანიძემ მოიპოვა. სიეტლში კეთილი ნების თამაშებზე ყველა შეხვედრა მოვიგე – ისევ ბაუმგარტნერს ვძლიე. ამის მიუხედავად, იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის-ალექსანდრ მედვედის შვილის წაყვანა იყო გადაწყვეტილი, მაგრამ კისლოვოდსკში შეკრებაზე რამდენჯერმე ვაჯობე და უფროსმა მწვრთნელმა იარიგინმა ნაკრებში ადგილი მე მანდო. არც დამიღალატებია – ბაუმგარტნერის ჩათვლით ყველას ვძლიე და მეორედ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი. საქართველოშიც წლის საუკეთესო სპორტსმენად მეორედ დამასახელეს.

მომდევნო წელსაც ჩვეული ენთუზიაზმით ვემზადებოდი ევროპის ჩემპიონატისთვის, მაგრამ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მე დალერი ხაბელოვი მინსკის შეკრებიდან სამშობლოში დავბრუნდით. რადგან საერთაშორისო სარბიელზე გასვლის შანსი აღარ იყო, აქტიურ სპორტს შევეშვი. ერთი წლის შემდეგ გადაწყდა, რომ დსთ-ს ნაკრების შემადგენლობაში ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე წავიდოდით. დარბაზში დაბრუნება გამიჭირდა, მაინც ვცადე ძალები აღმედგინა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩემპიონატი მოვიგე და ოლიმპიადაზეც გავემგზავრე, მაგრამ, როგორც იტყვიან, ის ძველი დათო აღარ ვიყავი. ამის მიუხედავად, ბრინჯაო მაინც მოვიპოვე. მართალია, ბაუმგარტნერთან დავმარცხდი, მაგრამ მესამე ადგილისთვის საკმაოდ ძლიერ ფალავნებს – გერმანელ შრიოდერსა და თურქ მაჰმუდ დემირს ვაჯობე. თურქმა 1996 წელს ატლანტაში ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. დემირთან ორთაბრძოლით ჩემი ჭიდაობის ისტორიაც დაიხურა – აქტიური სპორტული კარიერა დავასრულე.

— კალენიკე ლეჩხუმელი, ალბათ, ცალკე საუბრის თემაა.

-მსახიობი მოწოდებით უნდა იყო, მე შემთხვევით მოვხვდი ფილმში „ჭიდაობას რა უნდა“. უმცროსი მიხეილ ჭიაურელის მადლობელი ვარ. მისი დაჟინებული თხოვნა რომ არა, კინოში რა მინდოდა. დებიუტის კვალობაზე, როგორც ამბობენ, ცუდად არ მითამაშია. ფილმის გადაღების პერიოდი კარგად მახსენდება, მაგრამ დღესაც იმ აზრზე ვარ – მსახიობობა ჩემი სტიქია არ იყო. მოწოდებით მოჭიდავე ვიყავი და ასეთად დავრჩი.

ვაჟა დანელია

ფიზიოლოგიური მშობიარობა ხელს სჯობს საკეისრო კვეთას...

ამ ორიოდე წლის წინათ ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მავნე ტრადიციის შემცირებისკენ მოუწოდებდა მეან-გინეკოლოგებს. კერძოდ, მინისტრის სურვილი იყო, მეანებს აეხსნათ სამშობიარო ტკივილებით შეშინებული ახალგაზრდა დედებისთვის ფიზიოლოგიური მშობიარობის უპირატესობა საკეისრო კვეთასთან შედარებით.

ამ მხრივ სერგეენკოს ყველაზე მძიმე შემთხვევად სენაკის სამშობიარო სახლის მაგალითი მოჰყავდა, სადაც 80% საკეისრო კვეთა კეთდებოდა და ეს იყო მეანის და არა – ორსულის პრობლემა.

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში უპირატესობას ანიჭებენ ფიზიოლოგიურ მშობიარობას და მიიჩნევენ, რომ საკეისრო კვეთა მხოლოდ და მხოლოდ ზრდის დედისა და ახალშობილის ავადობისა და სიკვდილიანობის რისკს, საქართველოში ახალგაზრდა დედები კვლავაც უპირატესობას ანიჭებენ საკეისრო მშობიარობას. ეს გასაკვირი არც არის, რადგან თუ ფიზიოლოგიურ მშობიარობას საშუალოდ 12-დან 16 საათამდე სჭირდება, საკეისროს შემთხვევაში, მაქსიმუმ, 30 წუთი საკმარისია.

ამიტომაც საქართველოში საკეისრო კვეთის თანაფარდობა ორჯერ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს.

ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე პალიკო კინტრაია აცხადებს, რომ საკეისრო კვეთა ხელწამოსაკრავი არ არის და, უკიდურეს შემთხვევაში, ის უნდა გამოიყენონ. თუმცა, პალიკო კინტრაია დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ მომატებული საკეისრო კვეთების შესამცირებლად ჯანდაცვის სამინისტრომ სპეციალური გეგმა შეიმუშავა.

„საკეისრო კვეთა რომ აუცილებელი ოპერაციაა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ ჩათვლის საჭიროდ, ზოგან საკეისრო კვეთის პროცენტულობა მეტია, ზოგან-ნაკლები. რა თქმა უნდა, საკეისრო კვეთის 50 % ბევრია. როგორ შეიძლება ყოველი მეორე ქალი საკეისროთი მშობიარობდეს? ეს იმას ნიშნავს, რომ სამშობიარო სახლის ადგილობრივი ხელმძღვანელი არ ვარგა, ასეთი გინეკოლოგი უნდა გააგდო, რადგან მან არ იცის მეანობა. აქ სახელმწიფო არაფერ შუაშია. ახლა სამინისტრომ კარგი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ვისაც 25 %-ზე მეტი საკეისრო კვეთა ექნება, მას ჩაუტარებენ სპეციალურ გამოცდებს, იცის თუ არა მან საერთოდ, როდის უნდა გაკეთდეს საკეისრო კვეთა?! დღეს მსოფლიოში საკეისრო კვეთის ნორმად 15-20 % ითვლება. ღმერთმა ისე გააჩინა, რომ ქალმა უნდა იმშობიაროს ბუნებრივი გზით და სხვა უფრო უკეთესი გზა არ არსებობს. საკეისრო კვეთა ნახევარი საათი კი არა, 15 წუთიც რომ იყოს, წარმოიდგინეთ, ატმოსფერული წნევა 760 მილიმეტრია, მუცლის ღრუში არის უარყოფითი წნევა. გაკვეთენ თუ არა საშვილოსნოს, ეს წნევა ერთბაშად აწვება ნაყოფის თავს. სასარგებლოა თუ არა ეს, ახლა მკითხველმა განსაზღვროს. ამიტომ არის შემთხვევები, როცა საკეისროსგან თავი უნდა შევიკავოთ და პირიქით“, – აღნიშნა პალიკო კინტრაიამ.

მანვე განმარტა, რომ ფიზიოლოგიური მშობიარობისთვის განკუთვნილი 500 ლარიც და საკეისროსთვის გამოყოფილი 800 ლარიც დღევანდელი ცხოვრების დონის მიხედვით მიზერულია, მაგრამ საკეისროს მიანიჭებს უპირატესობას თუ ფიზიოლოგიურ მშობიარობას, ეს დამოკიდებულია ექიმისა და პაციენტის ფსიქოლოგიურ განცდებთან, ასევე, იმ პირობებთან, რომელიც თან ახლავს მშობიარობას.

მეან-გინეკოლოგი **ზაზა სინაურიძე** აცხადებს, რომ გადამეტებულ საკეისრო კვეთას კონტროლი სჭირდება და შეუძლებელია, ეს აკონტროლოს მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრომ, ამიტომ უმჯობესია, დაწესდეს კონტროლის ფინანსური მექანიზმი. კერძოდ, ძალიან მარტივი ლოგიკით, თუკი ფიზიოლოგიური მშობიარობა 500 ლარი ჯდება, ხოლო საკეისრო კვეთა – 800, ამ თანხების შეკრებით მიღებულ 1300 ლარს გავყოფთ ორზე და მივიღებთ საშუალო 650 ლარს. შესაბამისად, საკეისრო და ფიზიოლოგიური მშობიარობისთვის განკუთვნილი თანხები უნდა გათანაბრდეს და მაშინ სამშობიარო სახლის მენეჯერისთვის ფინანსურად გაცილებით უფრო მომგებიანი იქნება ფიზიოლოგიური მშობიარობა, ვიდრე საკეისრო კვეთა.

„ფინანსური ინსტრუმენტი იქნება ამის ყველაზე კარგი მაკონტროლებელი. თორემ ახლა კლინიკის მენეჯერისთვის, რა თქმა უნდა, საკეისრო კვეთა უფრო მომგებიანია. ისინი ცდილობენ, მეტი მოგება ნახონ და საკეისრო კვეთის საფასურად 800 ლარი მიიღონ, რაც ფიზიოლოგიური მშობიარობის 500 ლარს ბევრად აღემატება. ამიტომაც ჩემი კოლეგებიც სცოდავენ ხოლმე და არ ცდილობენ, მშობიარე ქალს ეს მავნე პროცედურა გადააფიქრებინონ. ამიერიდან კი ნებისმიერი საავადმყოფოს მენეჯერი განგაშის ზარს ატეხავს, როდესაც საკეისრო კვეთა და ფიზიოლოგიური მშობიარობა ერთი თანხა დაჯდება, ვინაიდან საკეისრო კვეთა გაცილებით მეტ ხარჯს მოითხოვს, უფრო მეტი მასალა იხარჯება და მასში უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობს. როცა ხარჯი მაღალია, ცხადია, შეეცდებიან, უფრო „იაფად“, ანუ ფიზიოლოგიურად ამშობიარონ“, – აღნიშნა ზაზა სინაურიძემ.

რაც შეეხება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ასაკში შესული ქალისთვის საკეისრო კვეთის ჩატარება უკეთესია, მეან-გინეკოლოგი ამას არ ეთანხმება. იგი განმარტავს, რომ, მართალია, კუნთოვანი ქსოვილი ასაკში შესვლისას ელასტიურობას კარგავს, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ ასე კატეგორიულად არ უნდა ვთქვათ, რადგან 35-ის ხართ, მაინცდამაინც საკეისრო უნდა გაიკეთოთო.

„ზუსტად ორი დღის წინათ ფიზიოლოგიურად ვამშობიარე 46 წლის ქალბატონი, რომელმაც გადასარევად იმშობიარა, ნაჩხაპნიც არ ჰქონია არსად. ასე რომ, კატეგორიულად იმის თქმა, რომ ასაკი და საკეისრო კორელაციაშია ერთმანეთთან, არასწორია“, – აცხადებს ზაზა სინაურიძე.

შეკითხვის საპასუხოდ, გამოსავალს თუ ხედავს ისეთ შემთხვევებში, როცა ექიმები თავს იმართლებენ, რომ საკეისრო კვეთა მათ თავად პაციენტმა სთხოვა, მეან-გინეკოლოგი აცხადებს, რომ, პირველ რიგში, აქ მნიშვნელოვანია ექიმის პოზიცია, რომელმაც უნდა აუხსნას პაციენტს საკეისრო კვეთის ყველა შესაძლო რისკები. თავად ზაზა სინაურიძე არ მალავს, რომ მასთან მისული ათი ორსულიდან ცხრა თავიდანვე საკეისროს ითხოვს, თუმცა მისი კონსულტაციის შემდეგ რვა უკვე უარს ამბობს საკეისროზე. ამიტომ მეტი სამუშაოა საჭირო, რომ ორსულებში ინფორმირებულობა გაიზარდოს.

მანანა ნოზაძე

ონკოლოგიური დაავადებები საგანგაშოდ იზრდება

ხელისუფლებას თამბაქოს კონტროლის გამკაცრებისკენ მოუწოდებენ

„საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია“ საგანგებო განცხადებას ავრცელებს. გავრცელებულ განცხადებაში ასოციაციის წევრები აღმასრულებელ და საკანონმდებლო **ხელისუფლებას თამბაქოს კონტროლის დროულად გამკაცრებისკენ მოუწოდებენ.** ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ონკოლოგიური დაავადებები საგან-

გაშოდ იზრდება, რის გამომწვევ მიზეზად თამბაქოს ასახელებენ.

„მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია და ათასობით ჩვენი მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დგას. ამიტომ ვუერთდებით „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ინიციატივას და მოვითხოვთ პარლამენტმა უახლოეს პერიოდში განიხილოს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა, რომლის მიღების შედეგად ყველა დახურული ტიპის შენობა-ნაგებობაში და ტრანსპორტში აიკრძალება თამბაქოს მოწევა, უარს ვიტყვით თამბაქოს რეკლამასა და პოპულარიზაციაზე, გამარტივდება ადმინისტრირება, გაიზრდება საჯარიმო სანქციები და განხორციელდება მსოფლიოში აპრობირებული ღონისძიებები. მრავალ ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის გამკაცრების შემდეგ ყოველწლიურად სწრაფი ტემპით იკლებს ფილტვის კიბოს სტატისტიკა. საქართველოში კი ონკოლოგიური დაავადებები საგანგაშოდ იზრდება. სიმსივნეს მრავალი მიზეზი იწვევს, მათ შორის თამბაქოს მოხმარება. წელიწადში 10 000-ზე მეტი ადამიანი ნაადრევად გვეღუპება თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით. ყოველდღიურად მატულობს თამბაქოთი გამოწვეული სიმსივნეების, განსაკუთრებით ფილტვის კიბოს შემთხვევები. აღნიშნული დაავადებები ახალგაზრდავდება და უკვე ხშირია ქალებს შორის.

ანალოგიური მდგომარეობაა გულსისხლძარღვთა, რესპირაციული, პედიატრიული, რეპროდუქციული და მრავალი სხვა დაავადებების მხრივ. უამრავი პათოლოგიის თავიდან აცილება უფრო იოლად შეიძლება თამბაქოზე კონტროლის გამკაცრებით, ამიტომ ვთხოვთ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს, ნუ გადადებთ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვას და დაუყოვნებლივ მიიღეთ კანონმდებლობა, რომელიც შეამცირებს თამბაქოს მოხმარებას და დაიცავს მისი მომაკვდინებელი ზეგავლენისაგან თაობებს“, – აღნიშნულია ონკოლოგთა ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობით 212 ადამიანი დასაქმდა

„ჯიპიაი ჰოლდინგი“ მოქალაქეებს ასაქმებს

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომაძემ და „ჯიპიაი ჰოლდინგის“ გენერალურმა დირექტორმა პაატა ლომაძემ სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მასშტაბური დასაქმების ფორუმის შედეგები მედიას გააცნეს.

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ საცალო გაყიდვების სპეციალისტის ვაკანსიაზე კანდიდატურების გადარჩევა დაასრულა. დასაქმების ფორუმი მიმდინარე წლის აპრილში გაიმართა.

2016 წლის 21 აპრილს „ჯიპიაი ჰოლდინგის“ დასაქმების ფორუმზე, გაყიდვების სპეციალისტის ვაკანსიაზე დაინტერესება 1500-მდე ადამიანმა გამოთქვა. სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლები ფორუმის თითოეულ მონაწილეს გაესაუბრნენ და დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სამუშაოს შესახებ. საბოლოოდ 212 კანდიდატი შეირჩა, რომლებიც „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ტრენინგ ცენტრში გადამზადების ინტენსიურ კურსს გადიან. შერჩეული კანდიდატებიდან 65 სოციალური მომსახურების სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელია. ჯანდაცვის სამინისტრომ უზრუნველყო „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მიერ მოთხოვნილი კვალიფიკაციის შესაბამისი შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების „ჯიპიაი ჰოლდინგისათვის“ გაგზავნა. სამინისტროს ამოცანაა სოციალური მომსახურების სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობა.

დღეისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოს დაახლოებით 60 000 სამუშაოს მაძიებელი ჰყავს დარეგისტრირებული მთელი საქართველოს მასშტაბით.

ბერტა ფონ ზუტნერზე ზუგდიდში ფილმის გადაღებას გეგმავენ

მშვიდობის პრემიის პირველი ნობელიანტი ქალის ბერტა ფონ ზუტნერის ზუგდიდელებისთვის უკეთ გაცნობის მიზნით, შეხვედრა მოეწყო. არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლების კულტურის სამსახურის და მუზეუმის წარმომადგენლებმა ნობელიანტი ქალის სამეგრელოსთან კავშირსა და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებაში მის როლზე ისაუბრეს, შეაჯამეს ზუგდიდში მისი ცხოვრების ხუთი წელი და საქმიანობა, რასაც ამ ხნის მანძილზე ეწეოდა.

ბერტა არის ის ქალბატონი, რომელმაც თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე. ის თავადაც აღნიშნავდა, რომ პირველი ევროპელი ქალია, რომელმაც წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“...

შეხვედრა ასოციაცია „იმედმა“ გამართა. ორგანიზაციის ხელმძღვანელ ქრისტინა კილანავას თქმით, შეიკრიბნენ მშვიდობის პოპულარიზების მიზნით და ამ ჭრილში ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის მოღვაწეობის საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობა სურთ.

„ზუტნერი არის ძალიან სასიამოვნო ქალბატონი, რომელიც არის ერთ-ერთი წარმომადგენელი საერთაშორისო სამშვიდობო მოძრაობის. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში ცხოვრობდა 9 წლის განმავლობაში და 5 წელი გაატარა ზუგდიდში“, - განაცხადა ქრისტინა კილანავამ.

დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის დირექტორ ლილი ბერაიას თქმით, მათთან ბერტა ფონ ზუტნერის ფოტოსურათი და სამი ხელნაწერი ინახება, სადაც ასახულია მისი და მისი ქმრის არტურ ფონ ზუტნერის ზუგდიდში ყოფნა. მესამე წერილში საუბარია იმაზე, თუ როგორ მიემგზავრებიან სამეგრელოდან ბათუმში, შემდეგ კი საკუთარ ქვეყანაში, ავსტრია-უნგრეთის ომის დაწყების გამო. ლილი ბერაიასვე განმარტებით, ბერტა ყველა ომის, ყველანაირი ძალადობის წინააღმდეგი იყო. ამაზე დაწერა პირველი წიგნი „ძირს იარაღი“, რისთვისაც ნობელის პრემიაზე წარადგინეს. ეს ნაწარმოები, რომელიც ზუგდიდის მუზეუმშიც ინახება, მისი თქმით, მშვიდობისთვის ბრძოლის მაგალითია.

თავის მხრივ, ქალაქ ზუგდიდის მერია ბერტა ფონ ზუტნერზე დოკუმენტური ფილმის მომზადებას გეგმავს. მერიაში ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროს ბესიკ არახამიას განცხადებით, ეს ის ქალია, რომელმაც სწორედ ზუგდიდში დაინახა რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობისას, თუ რა არის მშვიდობა და მშვიდობის ფასი:

დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია მიმდინარე წლის ოქტომბერში იონაობის დღესასწაულზე შედგება. ფილმისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 ათას ლარამდე გამოიყო.

თამარ ზანთარაია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

სექტემბრამდე ორმოცამდე სპორტული მოედანი მწყობრში იქნება

ბათუმში სპორტული მოედნების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 40 სპორტული მოედნის კაპიტალური შეკეთება 1 სექტემბრამდე უნდა დასრულდეს.

ამ დროისთვის სამუშაოები ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე სტადიონზე მიმდინარეობს, სადაც იცვლება დაზიანებული ღობე, კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარების ბადეები და ხელოვნური საფარი.

სპორტული მოედნის მოწყობა თვის ბოლოსთვის დასრულდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „მონოლითი 2005“ ასრულებს.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების კაპიტალური შეკეთებისთვის 1 მილიონ 200 ათასამდე ლარია გამოყოფილი.

◎ კაკალ გულში

მარჯვენასაჭიანი სააკაშვილი

● **მთავრობა ბიზნესს უსმენს, ბიზნესი მთავრობას (არ მოუსმენს და...). ჰოდა რატომ ხართ გულდაწყვეტილები. მორჩებიან ერთმანეთთან საუბარს და მერე გადმოგვხედავენ ალბათ, თუ დასაძინებლად არ წავიდნენ.**

● **შესაბამისი ანაზღაურების ფასად ავიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, გამოვალ თოკ-შოუებში, გავაკეთებ განცხადებებს დ.ა.შ. (ნაცები არ გამომეხმაუროთ. აქცენტს ახალ ძალებზე ვაკეთებ).**

● **რუსეთში რამდენი მამაკაციც ფეხბურთით არის ოფიციალურად დასაქმებული, უელსს იმდენი მოსახლეობა არ ჰყავს.**

● **„ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდესო“, თქვა ნოდარ ჯავახიშვილმა“ და ატყდა ერთი რუზრუზი და რია-რია. დავანებოთ თავი იმ დანაშაულებს, რაც ჩაუდენია, რაც ვერ მოასწრო და უბრალოდ, ადამიანური თვალით შევხედოთ ვანოს პრობლემას. ჯერ ერთი, გარეთ რომ იყოს, რას გააკეთებს? პარტიას ეგ აღარ სჭირდება და საკუთარ ცოლს. არაფერი სპეციალობა არა აქვს და ვერც ისწავლის. ჰოდა:** А в тюрьме сейчас ужин, макароны!

● **ეროვნულ ფორუმელი ვარ (ლამის დამფუძნებელი), სალ კლდეზე უფრო მაგარი! არ გამომიტოვებია არც ერთი შეხვედრა, შეკრება, მიტინგი, მსვლელობა, მანიფესტაცია, მარში და მარშ-ბრასოკი.**

დრო კი გადიოდა... ამასობაში — ნიკო ორველაშვილი უფალმა მიიბარა, რეზო შავიშვილი და კახა შარტავა „მოტეხეს“, გუბაზ სანიკიძემ დაიძინა, ნოდარ ჯავახიშვილი გადაიბირეს და შემრჩა ხელთ ანი მიროტაძე და „საკნების ქალაქში“ ღამეების თევისას, ლენინის მოედანზე ტუალეტების ძებნის დროს აკიდებული პროსტატიტი... რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალია, ვის შევჩივლო, იეთიმ გურჯიც მკვდარია.

● **ბურჭულაძე მარჯვენასაჭიანი სააკაშვილია!!!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ცინცხალი ანეკდოტები

გურულების დიალოგი საკანში:
— აუჰ, მთელი ტანი მეფხანება!
— რამდენი გაქ მისჯილი?!
— შვიდი წელი!
— ჰოდა, რა გაქ მეტი საქმე? დაჯექი და იფხანე!

* * *

გურულ ქალს ეუბნებიან:
— ნაბეღლავი დალიე, არ გინდა?
— არა, მაი გაზიანია, მბერავს და მერე ჩემი ქმარი ეჭვიანობს.

* * *

გურული მამას ეკითხება:
— მამა, ცხოვრება რაია?!
— ცხოვრება, ბაბა, აგერ საქათმეზე რომ კიბე გვაქ, იმასავითაა. მოკლე და სკინტში ჩაფლული?!

* * *

პოლიტიკური დიალოგი:
— ამ ჩვენ პარლამენტს ვერაფერი ვერ გუვუგე, რაცხა უმრავლესობა თუ უმცირესობაა, ამან თლა დამაბნია.
— ურემი იცი, შე აბდალა?
— კი.
— ჰოდა, მოდის აი ურემი და მოფუნა ხარმა.
— მერე?
— იი მოფუნულია პარლამენტი.
— მე უმცირესობაზე და უმრავლესობაზე გეუბნები.
— იმ ხარს უკან ურმის ბორბალი ხომ მოჰყვება? ჰოდა, იმ ბორბალმა გეიარა მოფუნულში, მარა ზუსტად შუაში ვერ გაჰყო.
— მერე?
— ი მხარე, უფრო ცოტა რომაა, უმცირესობაა, უფრო დიდი — უმრავლესობა.

* * *

დაჟინებული ცქერით შეწუხდა ლამაზი ქალბატონი და საყვედურობს:

— რა არის, ბატონო, ლამისაა გამხადოთ მზერით!
— ოხ, რას ბრძანებთ, ქალბატონო, თქვენ უკვე იცვამთ და მე პაპიროსს ვეწევი უკვე.